ჭასი სამი შაჭრი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

№2 ყოველთვიური სასოფლო სამეურნეო და პოპულარული მეცნიერული ჟურნალი თბილისი



შინაარსი. 74

ახალი გზით
სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის
აგრ. ნ. ალნიაშვილი
მინერალური სასუქების ხმარება
აგრ. ი. ქურდიანი
ნამყენი ვაზის გამოყვანა სათბურში აგრ. ა. კობახიძე
ჩაის პლანტაციის გაშენება
აგრ. ივ. ჯაში
მეაბრეშუმეობა საქართველოში
სპეციალისტი ვლ. ნიჟარაძე
მეფუტკრეობა
სპეციალისტი პ. ლოლაძე
სოფლის კოლექტიური მეურნეობანი საქართველოში
ვლ. ცაგარელი
პროფესორი კ. მ.ამირეჯიბი
აგრ. ბ. ვა—ლი
კუპის სნეულება
ექ. ივ. გომართელი
სოფლის მეუნეობის მიკრობები
ნ. თხინვალელი

ტფილისი
1928

სარედაქციო „ახალი სოფელი"

100 მილიონი მანეთი

სოფლის მეურნეობას!

მეურნეებო! შეიძინეთ საგლეხო მომგებიან სესხის ობლიგაციები!

სესხის მიზანია ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინება, ტრაქტორებისა და სხვა გაუმჯობესებულ იარაღების შეძენა და სოფლის მეურნეობაში გამოყენება.

100 მილიონი მანეთი გადაახალისებს სოფლის მეურნეობას, დააყენებს მას სოციალიზმის გზაზე.

თვითეული შეგნებული გლეხის ვალია შეიძინოს ობლიგაციები და გაავრცელოს მომგებიანი საგლეხო სესხი.

საგლეხო სესხის ობლიგაციის შეძენა ხელსაყრელია გლეხობისათვის: ადგილობრივ თემალმასკომს რჩება 10 პროცენტი, ობლიგაცია იძლევა პროცენტს, მიიღება გადასახადების გასწორების დროს.

გარდა ამისა, გათამაშებული იქნება 18 მილიონი -ს! მოსალოდნელია 2 ნახ. მანეთიან ობლი- -ეთის მოგება!



ეწყვეთ ამ სესხის გავრცელებას!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს!

ახალი სოფელი

ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და პოპულიარულ-მეცნიერული ჟურნალი

№ 2 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი 1928 წ.

ა ხ ა ლ ი გ ზ ი თ

სოფლის მეურნეობის აღორძინება, მისი ხაყოფიერების ზრდა-განვითარება ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ამ საკითხს გახსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამას წინეთ დასრულებულმა საკავშირო კოჰპარტიის ყრილობამ.

რას ნიშნავს სოფლის მეურნეობის აღორძინება? ეს ნიშნავს **სოფლის მეურნეობაში მანქანების და სხვა გაუმჯობესებული იარაღების შემოღებას.** ამის გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე, მისი ნაყოფიერების ზრდა-გახვითარებაზე ლაპარაკი.

ამიტომ ჩვენი ძირითადი ამოცანაა სოფლის მეურნეობას ძიგაწოდოთ ტრაქტორი და სხვადასხვა სახის მანქანები, რაც **გარდაქმნის** დღევანდელ მეურნეობას.

დღეს გლეხი ძალიან ბევრს მუშაობს, „ეზის აძოსვლიდან ჩასვლამდის", შრომის ნაყოფს კი ძალიან ცოტას ღებულობს. მანქანების შემოღების შემდეგ კი მდგომარეობა ძირ ბუდიანათ შეიცვლება: **მცირე შრომით დიდ ნაყოფს მივიღებთ.** სწორეთ ესაა ტეხნიკის განვითარებ ს დანიშნულებაც.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალ-ღონით ს დილობს გააფართოოს სოფლის მაშინიზაციის საქმე, სოფელი უზრუნველყოს გაუმჯობეს ბული იარაღებით და ამ გზით უკუგდებულ იქნას მამა-პაპეული კავი და გუთანი.

მაგრამ სოფლის მეურნეობის მაშინიზა ია შ უძლებელია, თუ შ მოღებული არ იქნა მსხვილი, **კოლექტიური მეურნეობა.** გაუმჯობესებული იარაღები მოითხოვს **გაერთიანებულ** მეურნ ობას, სულ ერთია, ეს გაერთიანება კოოპერაციის, არტელის თუ უბრალო აძხანაგობის ნიადაგზე იქნება წარმოებული

ძიწ-ს პატარა-პატარა ნაკვერი შეუძლებელია **ცალ-ცალკე** დამუშავ ბულ იქნას გაუმჯობესებული იარაღით. ეს ხაჭრები უნდა შეერთდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრაქტორზე ხელი უნდა აიღოთ.

პარტია და ხელისუფლებაც ასე ამბობს: **რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, გაერთიანებულ, მსხვილ მიწათმოქმედებაზე თანდათანობით უნდა გადავიდეთ.**

ჯერ კიდევ 1903 წელს ლენინი სწერდა: „ხალხს, რომელიც მხარს უჭერს წვრილ მეურნეობას, ხშირათ სურს სარგებლობა მოუტანოს გლეხობას. **ნამდვილად კი მას გლეხობისათვის მხოლოდ და მხოლოდ ზიანი მოაქვს.**

ეს სრული ჭეშმარიტებაა. ვინც ამბობს, რომ წვრილი, დაქუცმაცებული მეურნეობა უნდა დარჩესო, ის **სასტიკი მტერია მშრომელი გლეხის,** მას არ უნდა გლეხობის დაწინაურება, მისი შრომის ნაყოფიერების გადიდება, გლეხობის კულტურული დონის ამაღლება.

ს 914

ამბობთ: საჭიროა და აუცილებელი გაერთიანებულ მეურნეობად გადასვლა, მიწის დამუშავება საერთო ძალ-ღონით, კოლექტიურათ, არტელურათ, კოოპერატიულათ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ამ მეურნეობის მანქანებით წარმოება—აი რაშია ჩვენი ხსნა, სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი წინსვლის და კეთილდღეობის საფუძველი.

ახალი გზით—ასეთია ჩვენი ძახილი.

მართალია, **ძნელია ამ გზაზე გადასვლა.** ხელს გვიშლის ტექნიკური იარაღების ნაკლებობა. ხელს გვიშლის შეუგნებლობა, გაუნათლებლობა, უკულტურობა. მაგრამ **სიძნელემ არ უნდა დაგვაშინოს,** ჩვენს ძიზნ ბსა და მისწრაფებებზე ხელი არ უნდა აგვაღებინოს.

მრავალი სიძნელე გადაგვილახავს და ამ სიძნელესაც გადავლახავთ აუცილებლათ.

ახალი გზით,—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით გავსწიოთ წინ, უკეთეს ცხოვრებისაკენ, სოციალისტურ წყობილებისაკენ!

სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის

ჩვენი ქვეყნის მშრომელ მოსახლეობის თითქმის ცხრა-მეათედი სოფლის მეურნეობას მისდევს. ეს მოსახლეობა ძიწის დიდ სივიწროვეს განიცდის. და ის, რაც ამ მიწაზე მოჰყავს, უმრავლესობას საოჯახო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ ჰყოფნის.

რა უშლის ხელს მას ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

ჩვენ ვიცით, რომ არის ქვეყნები, სადაც გლეხები ისეთივე მიწის სივიწროვეს განიცდიან, როგორც ჩვენში, მაგრამ ეთ ეაინც შეძლეს ამ გაჭირებიდან გამოსავალი გზის მონახვა.

ეს იყო ამხანაგურად შეკავშირება, კოლექტიურად მუშაობა, რომლის შეძწეობით მათ მალე მიაღწიეს მიზანს.

აი ასეთ შეგნებულ გლეხობის ქვეყანას ჰქვიან **დანეთი,** ანუ დანია, სადაც სასოფლო-საძეურნეო კოოპერაცია, მერძეველია ამხანაგობანი სამაგალითოდ არის განვითარებული. გლეხობის უმთავრესი ნაწილი კოოპერაციაშია ჩაბმული.

მეორე ასეთ ქვეყანას წარმოადგენს **გერმანეთი.**

ას-ოთხმოცდა-ათი წლის წინად გერმანიაში ხშირი იყო მოუსავლობა და სიმშილობა. მაშინდელმა გერმანელმა გლეხმა არ იცოდა ხიადაგის კარგად დამუშავება, ანეულებს გვიან ხნავდა, არა ჰქონდა ნიადაგის დამამუშავებელი გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები, არ იცოდა საკვებ ბალახების თესვა, საქონელი ცოტა ჰყავდა და რაც ჰყავდა, ისიც საკვების ნაკლებობის გამო ნახევრად მშიერი შიშველ მიწდორზე დალასლასებდა. არ ჰქონდა მას სასუქი, ნიადაგი თანდათან იფიტებოდა და მოსავალიც ნაკლები იყო.

ძაგრამ გამოჩნდნენ მოწინავე გლეხები, რომლებმაც ხელი აიღეს ძველებურად სოფლის მეურნეობის წარმოებაზე. ერთდაიგივე მცენარის – პურის — თესვის მაგიერ შეძოიღეს კარტოფილის, ჭარხლის და საკვებ ბალახების —სამყურას და იონჯის თესვა.

არც ერთ მიწის ნაკვეთს არ სტოვებდენ დაუთესავად, მოუვიდათ მეტი საკვები, იყოლიეს მეტი საქონელი, გაუჩნდათ მეტი სასუქი, მიწები უკეთ გაანოყიერეს და მეტი მოსავალიც ძიღეს.

დღეს გერმანეთში თითო ჰექტარზე*) 135 ფუთი ხორბალი მოდის. მოუსავლობა იქ აღარ იციან.

*) 2200 ოთხკუთხ საჟენზე.

ჩვენს ქვეყანაშიაც სცხოვრობენ გერმანელები და შვეიცარიელები. არც ამათ იციან მოუსავლობა და გაჭირვება. მათი კეთილად მოწყობილი სოფლები, თავის სუფთა ქუჩებით და ეზო-სახლკარით ადას თვალსაჩინოდ აძტკიცებენ.

ამ ხალხის მუშაობა, მათი მაგალითი მეურნეობის დარგში ჩვენთვის ძვირფასია.

გარდა ამისა ჩვენ კიდევ გვაქვს აქა-იქ სხვა გაუმჯობესებული მეურნეობანი, რომლებიც უკეთეის გაუმჯობესებულ მეურნეობებს არაფრით არ ჩამოუვარდება.

მართალია, მათი **რიცხვი მცირეა**, სამაგიეროდ ძათი მეურნეობა ცხადად გვიმტკიცებს, რომ ჩვენს მშრომელ გლეხობას უმრავლესობასაც ადვილად შეუძლია თავისი მეურნეობას გაუმჯობესება, თუ კი ახალი გზით სიაოულის საჭიროების დროზე შეიგნებს.

ძაშ რა გზას უნდა დავადგით, რომ მომგებიანი გავხადოთ და ამით ის გაუმჯობესების გზაზე დავაყენოთ?

1) ყველაზე უწინ ხელი უნდა ავიღოთ მამა პაპურად სოფლის მეურნეობის წარმოებაზე.

2) ჩვენი დაქუცმაცებული მიწის ნაკვეთები დამუშავების მხრივ უნდა შევაერთოთ და ამხანაგურად შეძენილ გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღების საშუალებით დავიმუშაოთ, როგორც ერთი დიდი მთლიანი ნაჭერი.

ეს გაერთიანება მოსპობს ყოველგვარ ხარვეზს, რომელიც გვართმევს აუარებელ მიწას და სხვადასხვა საროველ ბალახის და ძავნე მწერების ბუდედ ხდება.

3) ხელი უნდა ავიღოთ მარტო ერთგვარ მცენარის თესვაზე და მის ნაცვლად შემოვიღოთ იმ მცენარეების თესვა, რომელიც უფრო მეტ მოგებას იძლევა და ჩვენ კუთხეში კარგად ხეირობს.

4) ვისწავლოთ საკვებ ბალახების, ჭარხალ-კართოფილის თესვა-მოყვანა. რომლების მოვლა-ჰატრონობით ნიადაგი საუკეთესოთ ფხვიერდება.

საკვების სიუხვე საშუალებას მოგვცემს მეტი საქონელი ვიყოლიოთ, რომელიც დაგვიტოებს ბლომა სასუქს ჩვენი გამოფიტულ ნიადაგების გასახაყოფიერებლად.

5) უნდა ვისწავლოთ გადარჩენულ და ნაწამლი თესლით თესვა, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა გუდაფშუტას და ზოგიერთ სოკოებრივ სენთან საბრძოლველად.

6) უნდა შემოვიღოთ ამხანაგურად შეძენილ სათეს ანქანით მწკრივად თესვა, რომელიც დაგვიზოგავს სათესლე ძალას და ხათესიც გათამაშებული და თანაბარი გამოდის.

7) უნდა ვთესოთ საუკეთესო ჯიშის თესლეულობა.

8) უნდა შევეჩვიოთ ანეულების ადრე მოხვნას და ჭირნახულის ალებისთანავე ნიადაგის აოშეებას (ალმოსავლეთ საქართველოში).

9) უნდა ვისწავლოთ საქონლის წესიერად მოვლა და კვება, რომელიც ასწევს ძის ღირებულებას.

10) მთელი მშრომელი გლეხობა უნდა შეეჩვიოს ამხანაგურად და კოოპერატიულად გაერთიანებას.

ამ გზით ის ადვილად შეძლებს გაუმჯობესებულ მანქანების და მის მეურნეობისათვის საჭირო მასალების შეძენას, მავნებლებთან ბრძოლას და აგრეთვე თავის ნაწარმოების უკეთეს ხელსაყრელ პირობებში გაყიდვას, სესხის მიღებას და საერთოდ თავის მეურნეობის გონივრულად და სარგებლიანად დაყენებას.

აი **ერთად-ერთი გზა,** რომლის შემწეობით შესძლებს ჩვენი მშრომელი გლეხობა გაჭირვებიდან გამოსვლას.

ამის საწინდარი ის სწავლა-განათლებაა, რომელსაც ასე ხარბად დაეწაფა ჩვენი მშრომელი ხალხი და რომელსაც ასე ხელგაშლით აწვდის ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება თავისი სოფლის ძასწავლებლების და აგრონომების საშუალებით.

ᲙᲝᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ


ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲕᲔᲚᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲫᲜᲔᲑᲐ

მიმდინარე წლისთვის საკავშირო მთავრობის მიერ გადაიდო ამიერ-კავკასიისათვის ნახევარი მილიონი მანეთი მინერალურ სასუქების დასამზადებლად და შესაძენად.

პირველ რიგში განზრახულია 8 ათას ჰექტარის ბამბის პლანტაციების გაპატიება.

საქართველოში ბამბასთან ერთათ შესაძლებელი იქნება მსურველისთვის სხვა ტეხნიკურ და ძვირფასი კულტურების ნათესების გაპატიებაც. ამ



ხელოვნურ სასუ'ების საბნევი მანქანა.

მიზნით თანახმათ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა მეზამბეობის კომიტეტს ევალება შეიძინოს და დაურიგოს გლეხობას სუპერფოსფატი 18%-ნი—24.350 ფ., სუპერფოსფატი 46%-ნი—19.730 ფ., კოპტონის ფქვილი—272.510 ფ., ნორვეგიის გვარჯილა—1.960 ფ. და სხვა, სულ 330 ათასი ფუთი.

ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲨᲔᲚ ᲕᲐᲗᲘ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ

მინერალურ სასუქებს ხელოვნურ სასუქებსაც ეძახიან.


ხელოვნური სასუქების გავრცელებას კლესის მეურნეობაში რომ ხელი შეეწყოს, მთავრობა აწესებს გლეხობისთვის ხელსაყრელ პირობებს: სასუქები ეძლევათ დაკლებულ ფასებში ორი წლის კრედიტით და ამავე დროს გაპატიებული მინდვრები სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან თავისუფლდება.

ჩვენ ვხედავთ, რომ ხელოვნური სასუქების მოხმარება ჩვენ მინდვრებზე სინამდვილეთ ხდება; ამიტომ საჭიროა გავიგოთ, სად და რა ფასებში შეიძლება მათი შეძენა და როგორ უნდა მათი მოხმარება.

ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲢᲣᲚ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ.

მაგრამ ჯერ მოვიგონოთ, საერთოდ რა საშუალებები არსებობს, რომ გამოჟიტულ მინდვრებს, ბალებს და ვ ნახებს ჯანი და სინოყიერე დაუბრუნოთ.

ჩვენი მინდვრები წლითი წლობით იხვნება და ითესება და არავითარი



მანქანის ყუთი მუშაობის დროს. ყუთს მოძრავი ძირი აქვს, რომელიც მუშაობის დროს თანდათან იწევს მაღლა და ბორბალის შემწეობით სასუქი იბნევა მიწაზე.

გაპატიება მათი არ ხდება. ამის შედეგიც ვიცით: ჩვენ მინდვრებზე მოსავალი კლებულობს და ბევრჯელ

გაწეულ ხარჯებსაც ვერ იხტუ რებს.

გასაგებია, რათაც ხდება ასე: მცე ნარე თავის საზრდოს ნიადაგიდან წყალში გახსნილ მინერალურ მარი ლების სახით იღებს; ეს საზრდო გა ნუსაზღვრელი არაა, თან და თან კლებულობს და ბოლოს დათესილ ან დარგულ მცენარეს ვეღარ აკმაკოფი ლებს.

მეორე მხრივ, შეიძლება ნიადაგში საზრდო ბევრიც იყოს, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში, რომ მცენარემ მით ვერ ისარგებლოს, მაგალითად, მაშინ როცა ეს საზრდო წყალში არ იხსნება.

ცხადია, რომ ნოყიერი, ძლავრი ნიადაგები მცენარისთვის საჭირო მარილების უფრო მეტ მარაგს შეი ცავენ, მჭირი და მჩატე კი ნაკლებს. ორივე შემთხვევაში, თუ ნიადაგი გა ნუწყვეტლივ იხვნებ-ითესება, ბოლოს და ბოლოს მიწა მაინც გამოიფიტება, რადგან ნიადაგი ვეღარ ასწრობს სა ზრდოს მომარაგებას მცენარისა თვის.

ამ შემთხვევაში საჭირო ხდება მი წის გაძდიდრება-განაყოფიერება ორი საშუალებით: მიწის დასვენებით ან მის გაპატიებით.

ნიადაგის გაპატიება ნეხვით

ერთ საუკეთესო პატივათ ცნობი ლია საქოხლის ნეხვი, რომელიც სრულ პატივათ ითვლება, ესე იგი, მასში ყოველივე ის ნივთიერება მო იპოვება, რაც მცენარეს ესაჭიროება. ამასთანავე ნეხვი ნიადაგის ფიზიკურ თვისებასაც აუმჯობესებს, აძლევს მას სასურველ აგებულებას, მძიმე თიხნარ მიწებს აფხვიერებს და ათ ბობს.

ძაგრამ ნეხვი ყველგან საკმაოთ არ მოიპოვება, რომ ყველა გამოფიტულ მინდვრების გაპატიება შესაძლებელი იყოს. ჩვეულებრივათ ერთ ჰექტარს (2 დღიურს) ესაჭიროება 2.400 ფ. ნეხვი, ესე იგი, 100—120 ურ მი და ჰყოფნის მინდორს 3 წელიწადს.

იკლებს იეჰვის დაგროვება ძნელ დება,—ბევრგან მას საწვავ მასალათ ხმარობენ, ბევრგან კი საქონელი სა ძოვარზეა გაშვებული; მხოლოთ ბა გაზე დაბმულ 4 სულ მსხვილფეხა საქონელს შეუძლიან ძოვებით წელი წადში ასი ურემი ნეხვი. მაგრამ სად არის ჩვენში ასეთი პირობები?

ამიტომ მინდვრების, ბაღების და ვენახების ნეხვით გაპატიება ყველ გან ვერა ხერხდება.

აგრეთვე სიძნელეს წარმოადგენს მიწების სიმკირის გამო მიწის ნასვე ნათ გაშვება.

მიწის გაპატიება მწვანე ნარის თესვითაც შეიძლება

სამაგიეროთ მიწების გაპატიება ცერცოვანი (პარკოვანი) მცენარეების თესვით და ხელოვნური ან მწვანე სასუქების ხმარებითაც შეიძლება.

ცერცვი, იონჯა, სამყურა, ძუხუდო და სხ. თავის ფესვებით აგროვებენ ჰაერის აზოტს და ეს აზოტი ძერმე ნიადაგში რჩება.

ცერცოვანი მცენარეების თესვა, თუმცა ძალიან სასურველია, მაგრამ ყველგან ვერა ხერხდება ეს,—ამის თვის საჭი ო განსაკუთრებული პი რობები. ახლა გადავიდეთ ხელოვ ნურ პატივების და კოპტონის ფქვი ლის ხმარებაზე.

ნიადაგის გაპატიება ხელოვნური სასუქებით

საზღვარგარეთ ხ ლოვნურ სასუქე ბის ხმარებას მასიური ხასიათი აქვს. ჩვენში კი მათ გავრცელებას ხელს უშლიდა მათი სიძვირე. ეს სასუქები შორიდან მოაქვთ და ძვირი ჯდება მათი შეძენა.

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა: ჩვენი მთავრობა ხელოვნურ სასუქებს მეტათ შეღავათიან პირობებში აძ ლევს გლეხობას. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რამდენათ ხელსაყრელია ამ ახალ პირობებში მათი ხმარება, მეტადრე გვარჯილის, სუპერფოსფა ტის და კოპტონის ფქვილის.

გვარჯილა

ასუჭი აზოტის მარილს შეიცავს და პირდაპირ პატივათ ითვლება, რადგან პირდაპირ მცენარეზე მოქმედებს.

გვარჯილა უწინ სამხრეთ ამერიკის, ჩილის—მადნებიდან მოჰქონდათ და ამიტომ ძვირი ჯდებოდა. ამ უკანასკნელ ხანებში ჩილის გვარჯილას მეტოქეობას უწევს ნორვეგიის გვარჯილა, რომელიც ხელოვნურათ მზადდება და ხარისხით ბუნებრივს არ ჩამოუვარდება და მასთან იაფიც არის.



ხელოვნურ სასუქის გაბნევა ხელით.

გვარჯილა ადვილათ იხსნება წყალში და ეს უნდა გვახსოვდეს ნიადაგის გაპატიების დროს: წვიმები ადვილათ რეცხავენ ასეთ ხსნილს და ნიადაგის ქვეითა ფენებში მიაქვს, საიდანაც მცენარე ვილარ სარგებლობს იმით. აქედან გამომდინარეობს გვარჯილას ხმარების წესიც: **გვარჯილა სჯობს შევიტანოთ თესვის დროს ან მის შემდეგ**, ადრე შეტანილი შეიძლება წვიმებმა ჩარეცხონ.

გვარჯილა მხოლოთ ერთ მოსავალს ჰყოფნის და ყველა სასუქებზე ძვირია. აძიტომ მის ხმარების დროს კარგათ უნდა გვქონდეს გამორკვეული, რამდენათ შეეფერება აძა თუ იმ ნიადაგს ეს სასუქი, რამდენათ ხელსაყრელია და სხ.

რუსეთის საცდელ სადგურებმა გამოარკვიეს, რომ საშუალოთ ერთი ფუთი გვარჯილის სასუქი 3—4 ფუთ ხორბლის მომატებას იწვევს, იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგს აზოტის მარილი აკლდა. ამჟამად მოსკოვში „გოსელსკლადში“ ფუთი ჩილის გვარჯილა ღირს 2 მ. 88 კ., ჩვენში მოტანით 3 მ. 50 კ. დაჯდება. დესეტინას სჭირდება 10—12 ფ. და გაპატიება არა ნაკლებ 35—40 მანეთი ეღირება.

შესაძლებელია ნიადაგს ისე უჭირდეს აზოტის მარილი, რომ პურის ყანის გაპატიებაც კი ხელსაყრელი იყოს, მხოლოთ ისიც დასაშვებია, რომ გვარჯილის სასუქი სულ არ იყოს საჭირო. აქედან ჩვენა ვხედავთ, თუ რა სიფრთხილე გვჭართებს ხელოვნურ პატივების ხმარების დროს.

სად და რაგვარი სასუქი უნდა ვიხმაროთ

ამ საკითხებს არკვევს საცდელი სადგურები და მინდვრები, მაგრამ თუ გაჭირდა, თვით გლეხსაც შეუძლიან ეს გამოარკვიოს თავის მინდორზე. ვსთქვათ, ჩვენ გვინდა გავიგოთ ესაჭიროება თუ არა მინდორს აზოტის და ფოსფორის **ორივე** მარილი, ან მარტო **ერთი** მათგანი.

ავიღოთ ერთი ერთნაირი ნიადაგის ნაკვეთი და გავყოთ 4 ნაწილათ: ერთ ნაწილში სასუქს ნუ შევიტანთ, მეორეში შევიტანოთ მარტო **აზოტის მარილი**, მესამეში მარტო **ფოსფორის მარილი** და მეოთხეში—**ორივე მარილი** ერთათ. დავთესოთ ხორბალი ან ქერი და მერმე ამ ნაკვეთებზე აღებული მოსავალი შევადაროთ ერთმანეთს.

თუ, მაგალითათ, ნიადაგს მარტო აზოტის მარილი აკლდა, მაშინ ყველაზე მეტს მოსავალს მივიღებთ იმ ნაკვეთიდან, რომელშიაც აზოტი შევიტანეთ და სხვა.

მიმდინარე წელს შემოტანილი იქნება ამიერ-კავკასიაში მხოლოთ 1.960 ფ. ნორვეგიის გვარჯილა, რაც გააპატიებს მხოლოთ **196** დესეტინას. ცხადია მთელი ეს მარაგი გადაეცემა საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს ცდების მოსაწყობათ. უფრო ხელმისაწვდომი იქნება ჩვენ მეურნესთვის მეორე სასუქის შეძენა—სუპერფოსფატის.

ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲝᲡᲤᲐᲢᲘ

როგორც ზევით იყო მოხსენებული ჩვენში შემოტანილი იქნება სულ 64.000 ფუთი სუპერფოსფატი, 18 და 46%-ნი.

ეს სასუქი შეიცავს ფოსფორის სიმჟავეს, რომელიც მცენარესთვის ერთი უსაჭიროესი საზრდოა. ფოსფორის მარილს შეიცავს სხვა სასუქებიც: ფოსფორიტები, ძვლები, თომას-შლაკი.

თომას-შლაკი—წარმოადგენს ქარხნის ნარჩენს, რომელსაც იღებენ თუჯის დამუშავების დროს,—ის შეიცავს 13—21%-ს ფოსფორის სიმჟავეს. ის ძნელათ იხსნება წყალში და ამიტომ ძისი მოქმედება ხანგრძლივია და დიდხახს. საუკეთესო შედეგებს იძლევა ეს სასუქი, თუ ჭაობიან და მჟავე ნიადაგებს მოვახმარეთ, მაგრამ მისი შოვნა და შეძენა მეტათ ძნელია ჩვენში და ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. თომას—შლაკი მზადდება რუსეთშიც, მაგრამ უმთავრესათ მოდის საზღვარგარეთიდან.

ძვლები. ძვალი შესდგება ორგანიულ და მინერალურ ნივთიერებისაგან. როცა ძვალი იწვის, ორგანიული ნაწილი იწვება და რჩება ნაცარი, რომელიც წარმოადგენს სასუქს ორგანიული ნივთიერება ძვალში 25—28%-ს აღწევს, მინერალური—64—68%-ს და წყალი—10—12%-ს.

ძვლებში წონის ერთ მეოთხედს შეადგენს ფოსფორის სიმჟავე. ძვლების ხმარება სასუქათ ბევრ სარგებელს არ ძოგვიტანს, თუ ის ჯერ არ დამუშავდა. მას უნდა მოსცილდეს ხარშვით ცხიმი, მერმე გამოშრეს და დაიფქვას. ეს ფქვილი იხმარება სასუქათ. ერთ ჰექტარს დასჭირდება 20—40 ფუთი. ფუთი ღირს 80 კაპეიკი; ის ჯერ ჩვენში არ იშოვება, რუსეთში კი ამზადებენ.

ᲤᲝᲡᲤᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ

რუსეთში—კურსკის, ორლოვის, პოდოლის და სხვა გუბერნიებში - მთელი მადნებია ფოსფატის ქვისა. ფოსფორიტის ქვა შეიცავს ფოსფორის სიმჟავეს, მაგრამ ამ ქვას ესაჭიროება ჯერ დამუშავება, რომ შესაძლებელი იყოს იმით მინდვრის გაპატიება. მისი დამუშავება იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ უნდა გამოიწვას საკირეში და მერე დაიფქვას ფქვილათ. ასეთი ფქვილი შეიცავს 12—30% ფოსფორის სიმჟავეს; ამ პროცენტის მიხედვით ჰექტარს სჭირდება 50—80 ფუთამდე.

ეს სასუქი რუსეთში იაფია და დიდ ხმარებაშია, მხოლოთ ჩვენში ძვირი დაჯდება მისი ჩამოტახა და ამიტომ პრაქტიკულათ მას მხიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის.

ფოსფორის მარილებში ყველაზე მეტი მნიშვნელობა თავის მოქმედებით სუპერ ფოსფატს ეძლევა.

სუპერფოსფატი შეიძლება მომზადდეს ფოსფორიტის ქვებისგან, ძვლებისგან, თომას-შლაკისაგან, გარჩევა იმაშია, რომ სუპერფოსფატი ფოსფორის სიმჟავის ისეთ მარილს წარმოადგენს, რომელიც ადვილათ იხსნება წყალში. დანარჩენ სასუქებში კი ფოსფორის სიმჟავის მარილი არ იხსნება ან მძიმეთ იხსნება წყალში.

სუპერფოსფატი ბევრი მზადდება დიდ ქარხნებში; მასალათ იღებენ რომელიმე ფოსფორიტს, ძვალს ან თომას-შლაკს და დამუშავების დროს ხმარობენ მაჯარ გოგირდის სიმჟავეს. დამუშავების შედეგია—სუპერფოსფატი და თაბაშირი (გიპსი).

რᲝᲓᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕ ᲢᲐᲜᲐᲗ ᲡᲣᲞᲔᲠ-ᲤᲝᲡᲤᲐᲢᲘ

სუპერფოსფატის შეტანა შეიძლება თესვის წინ ან მის შემდეგაც ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს, რომ ამ სასუქს წვიმა ჩარეცხავს ქვემო ფენებში, რადგან ის ქიმიურათ უკავშირდება ნიადაგს და მაშინ წყალში აღარ იხსნება.

მაგრამ საკმარისია მას რომელიმე სუსტი სიმჟავის ხსნილი ეოჰხვდეს, რომ ის ისევე გაიხსნას წყალში და მოხმარდეს ძვირნარეს. ამას ხელს უწყობენ ნიადაგში მყოფი ნახშირმჟავის და ლიმონის სიმჟავენი.

თუ ნიადაგს ფოსფორის მარილები აკლია, ერთ ჰექტარს დასჭირდება 2—3 ფუთი ფოსფორის სიმჟავე, ესე იგი, 10—12 ფუთი 18% ნი და 4—5 ფუთი—46%-ნი სუპერფოსფატი. ამ უკანასკნელ დროს რუსეთის ქარხნები ამზადებენ 14%-ს სუპერფოსფატს, რომელიც მოსკოვში 82 კილო



ხელოვნურ სასუ ით გაპატიებულმა ნიადაგმა მეტი მოსავალი მოგვცა, ვიდრე გაუპატიებელმა.

5 მან. და 25 კაპ. იყიდება, ესე იგი ფუთი ერთ მანეთზე ცოტა მეტი (ადგილობრივ).

სასუქების მოხმარების წესები

როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, ჰექტათ სახიფათო და საზარალოც იქნებოდა ფოსფორის მარილების ჭოხმარება მასიურათ, იმისდა მიუხედავათ, არის საჭირო ამა თუ იმ ნიადაგზე ეს მარილი, თუ არა.

ამიტომ უფრო სწორე იქნება ჯერ ცამოვიკვლიოთ გლეხებისაც ნაკვეთებზე ყოველი ზემოთ ხსენებული სასუქი და ძვირე დაგვერიგებინა გლეხობისთვის მოსახმარებლათ.

ამ წელს ასეც იქნება, გლეხებს ძიეცემათ მხოლოთ საცდელათ აგრონომის ხელმძღვანელობით. ეს სასუქები შეტანილი იქნება ნიადაგში და მოსავლის აღების დროს შევადარებთ გაპატიებულ ნაკვეთის მოსავალს საკანტროლო ნაკვეთის მოსავალებით.

რომ უფრო კარგი შედეგები მივიღოთ ამ სასუქებით, გადაწყვეტილია დაურიგდეს გლეხობას სუპერ ფოსფატის და კოპტონის ფქვილის ნარევი, რომელიც ორივე ხვითიერ ბას—აზოტს და ფოსფორს შეიცავს. ასეთი ნარევი სასუქი ჰექტარზე 50—60 ფუთამდე საკმარისია.

რა დაგვიჯდება

ერთ ჰექტარს დასჭირდება სულ 60 ფუთი, ფუთი 60 კაპეიკობით რომ ვიანგარიშოთ, ეს შეადგენს 36 მანეთს (60×60). ეს გაპატიება მინდორს ორ წელიწადს ეყოფა, მაშასადამე წელიწადში სასუქის ხარჯი იქნება 18 მან. პატივის გაპნევის ხარჯიც შეადგენს 4 მან (2 მუშა).

როგორც საცდელ და საჩვენებელ მინდვრების პრაქტიკამ დაგვანახვა, ჰექტარზე მოსავალი ძოიატებს გაპატიებულ პლანტაციაზე საშუალოთ 10 ფუთს. ამ ათი ფუთის მოკრეფაც ეღირება—10 მან., სულ ხარჯი გამოდის მ. ათი ფუთი ნედლიბამბა ეღირება 50 მან., ძაშასადამე წმინდა მოგებაჰექტარზე რჩება 18 მანეთი.

სასუქების ნიადაგში შეტანა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს,—ხელოვნური სასუქი და კოპტონის ფქვილი—უნდა გავაბნიოთ ხელით თანაბრად მთელ მინდორზე, როგორც ხორბლეულობის თესვის დროს. (იხ. სურ. 1.), მაგრამ ამნაირათ ხელოვნურ სასუქების გაპნევას მინდორზე ის დიდი ხაკლი აქვს, რომ შეუძლებელია თანაბრად და ერთნაირათ მათი მინდვრათ მობნევა და განაწილება. ამ შემთხვევაში კარგ სამსახურს უწევს სასუქების მომბნევი მან-

ქანა, რომელიც, სამწუხაროთ, ჯერ არ მოიპოვება ჩვენს საწყობებში. ერთი ასეთი მანქანა დახატულია აქვე აქვეა მოყვანილი მექანიზმიც, რომელიც ანაწილებს სასუქებს. (იხ. სურ. 1 და 2)

ᲙᲝᲢᲝᲢᲝᲜᲘᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲐ ᲡᲐᲡᲣᲥᲐᲓ

დასასრულ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ბამბის კოპტონის ფქვილი, რომელიც დარიგებული იქნება აგრეთვე ნიადაგის გასაპატიებლად. პირველ შეხედვით ბამბის კოპტონის პატივად გამოყენება თითქოს შეუძლებელია, რადგან ბამბის კოპტონი საუკეთესო საკვებ მასალას წარმოადგენს. უმჯობესი იქნებოდა ეს საკვები მსხვილფეხ რქოსან საქონლისთვის მიგვეცა და მიღებული ნაკელი მოგვ ხმარა მინდვრების გასაპატიებლათ.

მაგრამ ეს ყველგან ვერ მოხერხდება: იქ, სადაც კოპტონი ბლომათაა, საკონელი არაა, და მეორეს მხრივ, ზოგიერთ რაიონისთვის ხელსაყრელია კოპტონის პატივად ხმარება. ძაგალითად თურქესტანი, სადაც ქარგა ხანია ხმარობენ კოპტონის ფქვილს სასუქად. საქართველოშიაც უკვე ორი წელიწადია, რაც ცდები ხდება გლეხების მიწებზე კოპტონის ფქვილით მინდვრების გაპატიებისა; ზოგიერთ რაიონში, სადაც სასუქად ნაკელი მოიპოვება, ან შეიძლებელი იქნება კოპტონი საქონელს ძოვახმაროთ, მიზან ეწონილი არ იქნებოდა მისი გავრკელება პატივის მიზნით. ეს საკითხი ჯერ შესწავლილი არაა, — მეტადრე მისი ეკონომიური მხარე.

ბამბის კოპტონი საუკეთესო სასუქათ უნდა ჩაითვალოს: ის შეიცავს 4—5% აზოტს, 2½% ფოსფორის მარილს და 1½% კალიუმს. ეს შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ კოპტონი ათჯერ უფრო მდიდარია ნაკელზე. თუ ჩვენ ნაკელი შეგვაქვს 2.400 ფუთი ჰექტარზე, კოპტონიც საჭირო იქნებოდა შეგვეტანა 240 ფუთი, ხამდვილათ კი სრულიათ საკმარისია 40 60 ფუთი ჰექტარზე. ეს იმით აიხსნება, რომ კოპტონის ფქვილი ჩქარა იხრწნება და ოქმედებს მცენარეზე მთელი თავის შემადგენლობით.

ამის გამო კოპტონის ფქვილი შეტანილი უნდა იყოს ან თესვის წინ, ხოსვნის შემდეგ ან და მცენარის ზრდის დროს.

ᲡᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘ

ბამბის კოპტონის ფქვილი და სხვა ზემოთ მოხსენებული სასუქები შეიძლება შევიძინოთ შემდეგ ადგილებში: **სად. შულავერი**, ბორჩალოს მაზრა ბამბის ქარხანა; **სად. ყარაია** — ტფილისის მაზრა — ბამბის ქარხანა; **სად. წნორისწყალი** — სიღნაღის მაზრა; **ქ. ჟუთაისი** — ბამბის ქარხანა.

ცნობების მიღება ამის შესახებ შეიძლება ყველა რაიონის აგრონომთან.

აგრ. ი. ჭურდიანი.






ნამყენ ვაზის სათბურში გამოყვანა

უკანასკნელ წლებში საქართველოში შემოიღეს სათბურებში ან ბინებში ოთახებში ნამყენი ვაზის გამოყვანა-შეხორკება.

ამ მიზნით ჩვეულებრივ წესით გაკეთებულ ნამყენს აწყობენ ფენებად ხის ყუთში, რომელსაც სიგრძე-სიგანე და სიმაღლე 12—12 ვერშოკი აქვს, ფენებად ჩაწყობილ ნამყენ ვაზს ყოველ მხრიდან უწყობენ ნახშირში არეულ სველ ხავსს (3 წილი ხავსი 1 წილი ნახშირი).

ხავსს უწყობენ ნამყენს როგორც გვერდში, ისე ქვეიდან და ზევიდან ნამყენის თავზე.



ვაზის ნამყენის გამოსაყვანი სათბური შიგნიდან.

თითო ყუთში ეტევა 700—900 ცალი ნამყენი.

ასე დატვირთული ნამყენით ყუთი შეაქვთ სათბურში, სადაც 24° 25° გრადუსი სითბოა (რეომიურით*) და აქ შეიდიგნაირათ უვლიან: 3—4 დღეში ერთხელ უკეთებენ აბაზანებს („ვანებს"), ესე იგი, ყუთებს ნახევრად უშვებენ თბილ წყალში (24° — 25° სითბო), რომ ხავსი წყალით გაიჟღინთოს და შეძლეგ თანდათანობით მისცეს ნამყენს წყალი.

ყუთი ისე უნდა ჩაუშვათ წყალში, რომ დამყნილ ალაგს არ სწვდებოდეს.

გარდა ამისა ყუთის ზევიდან დაფენილ გაძრალ ხავსს და ნახშირს უცვლიან და ასუფთავებენ აგრეთვე ნამყენის თავებს, მერადრე მაშინ, როცა უჩნდება მათ ობი; ობის წინააღმდეგ კარგია გოგირდის დაყრა, დამპალ ნაწილების ძოცილება ობიანი ხავსის და ნახშირის გამოცვლა და აგრეთვე ხშირად კარ-ფანჯრების გაღება ჰაერის გასაწმენდათ.

სამი კვირის განძავლობაში სათბურში ნამყენი სრულიად უხორკდება საძირეს და კვირტიც იღვიძებს.

შემდეგ ყუთები სათბურიდან გრილ განყოფილებაში — საკაჟეში გადაქვთ, სადაც ნამყენი თანდათანობით სიგრილ სიცივეს ეჩვევა და კაჟდება. აქედან კი 3 - 4 დღის შემდეგ უკვე ნამყენს ყუთებიდან იღებენ, არჩევენ და რგავენ, ან სკოლაში (სანერგეში) ან პირდაპირ სავენახე ადგილზე.

ასეთი წესით სათბურში ნამყენის გამოყვანა-შეხორკება პირველად საფრანგეთის მეცნიერმა - მევენახემ **რიხტერმა** შემოიღო და ამიტომ ამ წესით ნამყენის გამოყვანას **რიხტერის** წესს უწოდებენ.

რა უპირატესობა აქვს რიხტერის წესით ნამყენის გამოყვანას ჩვეულებრივ წესთან შედარებით.?

პირველი და უძთავრესი ისაა, რომ **რიხტერის წესით გამოყვანილი ნამყენი ორჯერ მეტი ვარგისი გამოდის, ვიდრე ჩვეულებრივი წესით გამოყვანილი.**


მეორე: რიხტერის წესით ნამყენის კეთება 2—3 კვირით ადრე (20 25 ძარტს) იწყება, ვიდრე ჩვეულებრივი წესით.

ამიტომ დიდ სახალხო მამულებისთვის, სადაც მყნობის დროს დღეში 20—30 ათასი ნამყენი კეთდება, 2—3 კვირით ადრე ნამყენის კეთების დაწყებას და დროს მოგებას, ცხადია, დიდი ნიშვნელობა აქვს.

გარდა ამისა ადრე გამოყვანილი, შეხორკებული და კვირტ-გაღვიძებუ-

*) სითბო-სიცივის საზომის ანუ ტერმომეტრის გამომგონია.

ლი ნამყენი უფრო ადრე იწყებს დაფესვიანებას და განვითარებას და მაშასადამე უფრო მომზადებულია და ცხელ, გვალვიან ზაფხულს ღონიერი ხვდება, მეტადრე კახეთში, ვიდრე ჩვეულებრივი წესით გაკეთებული ნამყენი.



დამყნილ რჩის ჩალაგება ყუთში. ყუთის გვერდები ნახშირნარევ ხავსით არის გამოვსებული.

ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება დროზე გაჰკვირყვანოთ ნამყენი და დროზე, აპრილის მეორე ნახევარში, დავრჩათ.

რიხტერის წესით ნამყენის გამოყვანას, გარდა სათანადო ცოდნისა, დიდი მუყაითობა, სიფხიზლე და დიდი თვალყურის დევნა სჭი ია.

სათბურში სითბოს აწევ-დაწევა ნამყენის შეხორცება-შედუღებას აჩერებს ან აჩქარებს. ზედმეტი სითბო აჩქარებს და ზედმეტ ხადუღს აძლევს: ნამყენი სუსტდება, იქანცება.

სითბოს დაწევა კი ნამყენის შედუღებას აჩერებს და ატერხებს: ნამყენი ნაწილობრივ შედუღებული გამოდის.

თუ, ვინიცობაა, ხავსს სინესტე დააკლდა, ნამყენი შრება; პირიქით, თუ ზედმეტი სინესტე მოუვიდა, მაშინ ნაყენს ობი უჩნდება და ახალი გამოტანილი კვირტები ულპება.

მაშინ გასუფთავება, სიდამპლის მოშორება და გოგირდის მოყრა აუცილებელი ხდება. ნამყენს კი ხელახლად კვირტების გამოტანა უხდება და ცხადია, რომ ყველაფერი ეს ნამყენს ასუსტებს და სჩაგრავს.


შეიძლება ბოლოს და ბოლოს, მიუხედავად ცუდი მოვლისა, ნამყენი მაინც გამოვა და შეხორცდება სათბურში, მაგრამ ეს ნამყენი დაქანცული და სუსტი გამოვა.

ამ ბოლო ხანებში სოფლად—ამხანაგობებში და არტელებში შეიძოიღეს რიხტერის წესით ნამყენის გამოყვანა.

ნაყენი გაძოჭყავთ უბრალოდ ჩვეულებრივი თუნუქის ღუმელით გამთბარ ოთახში. საჭირო სინესტის დატრიალებისთვის ოთახში ადუღებენ იმავე ღუმელზე ქვაბში ან ტაშტში წყალს.

როგორი უნდა იყოს რიხტერის წესით სათბურში გამოყვანილი კარგი ნამყენი.

რიხტერის წესით სათბურში გამოყვანილი კარგი ნამყენი უნდა იყოს 7—8 ვერშოკის სიგრძის კახეთისათვის და 5—6 ვერშოკისა იმერეთისათვის.



სათბურში გამოყვანილი ნამყენები.

ნამყენი უნდა იყოს საშუალო სისქისა, ესე იგი 5 8 მილიმეტრისა.

ნამყენი ადგილი შედუღებული უნდა იყოს ირგვლივ, ნადუღი უნდა ჰქონდეს ზომიერი ზედმეტად გადაჭდუღებული არ არის სასურველი.

კვირტი უნდა იყოს გალვივებული: ძირზე უნდა ჰქონდეს ფესვები ახლადღული ხაინც (კალიუსი).

ამერიკულ სახირის კვირტები სუფთად უნდა ჰქონდეს შეკრილი, სამეტნავად რუპისტრის—დიურლოს, რომელმაც ძალიან იცის ამონაყარი

ასოლოდ ასეთი წესიერად, თავის დროზე, ესი იგი აპრილის მეორე ნახევარში **ორ პირად** (14 ვერშოკზე) შეხოდაბმაზე დამუშავებულ მიწაში ჩაყრილი და წესიერად მოვლილი ნამყენი იძლევა კარგ და სასურველ შიდეგებს. **აგრ. არ. კობახიძე.**

ჩაის პლანტაციის გაშენება

ჩაის ბუჩქი ყველა ნიადაგზე არ ხარობს

ჩაის ბუჩქი დიდ შეხოსავალს იძლევა, მაგრამ ამისათვის რას წესიერი გაშენება და კარგი მოვლა ესაჭიროება.

ჩაის ბუჩქის გაშენებას იმ თავითვე დიდი ყურადღებით და სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ: ეს იმიტომ, რომ ჩაის ბუჩქი მრავალწლოვანი მცენარეა და ას წლამდე სძლებს. ერხელ უკვე დაშ-



ჩაის პლანტაციისათვის ნიადაგის გადაბრუნება.

ვებულ შეცდომის გასწორება, შემდეგ ძალიან ძნელია და ხანდახან შეუძლებელიც.

პირველ ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ნიადაგზე ხეირობს კარგად ჩაის ბუჩქი. ჩაის ბუჩქი კარგად იზრდება **წითელ** და **ყვითელ** ძიწებზე, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ბლომად ძოიპოვება. გამოსადეგია აგრეთვე ჩაისათვის **ტყის უყი მიწები** და **მოთიხნარი მიწები**

ასეთ მიწებზე არც ერთი სხვა მცენარე არ იზრდება ხეირიანათ და, შემოსავალს მცირეს იძლევა. ჩაის ბუჩქისათვის კი ასეთი მიწები ძალიან კარგია. იმავე დროს ჩაის ბუჩქი ყოველგვარ ნიადაგზე არ იხეირებს. მ. გალითად ჩაისათვის არ ვარგა კირნარი ნიადაგი, ჩაის ბუჩქი ზედმეტ კირს ვერ ეძლება. აგრეთვე უვარგისია **დაჭაობებული და მძიმე თიხნარი ნიადაგები**, სადაც ჩაის ბუჩქს ფესვები ვერ უვითარდება.

ქვიანიადაგსაც დიდი ძნიშნელობა აქვს; თუ ქვიანიადაგი წყლის კარგი გამტარია, იქ ჩაის ბუჩქის ფესვებიც კარგად და ღრმად განვითარდება.

გარეგნულადაც შეიძლება შევატყოთ, გამოდგება თუ არა ნიადაგი ჩაის ბუჩქის გასაშენებლად. ჩაისათვის გამოსადეგ ძიწებზე იზოდება: ძაყვალი, იელი, ტიფილი, წაბლი და სხვ. უფრო მეტი მნიშნელობა აქვს აქ ძირავ გვიმრას. **გვიმრა უტყუარი ნიშანია იმის, რომ ეს ადგილი ივარგებს ჩაისათვის.**

საჭირო მიწის მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს

ჩაის ბუჩქის გასაშენებლად უმჯობესია ვაკე (სწორი) ადგილი, ვიხაიდან ძისი დამუშავებაც ადვილია და წვიმისაგან და ნიაღვრებისაგან არ ჩამოირეცხება, შრომაც უფრო დაფასდება.

ჩვენში კი უშეტესად დაქანებული ადგილებია და მათი ჩამორეცხვა ხშირ წვიმისაგან ადვილია. განსაკუთრებით ირეცხება მეტად დაკიდებული ფერდობები. მაგრამ სულ ადვილად შეიძლება თავიდან ავიცილოთ ნიადაგის ასეთი ჩამორეცხვა და გაღარიბება, თუ **ფერდობი ადგილები დავკიბეთ**

ან როგორც აძბობენ ტერასები გავმართეთ. ასეთი ტერასები უნდა გაკეთდეს ფერდობის განზე დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით ერთმანეთზე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები.

ტერასი შიგნით ქოტა დაქანებული უნდა იყოს, რომ წვიმის წყალმა არ ჩამორეცხოს იგი და აგრეთვე განის მიმართულებით უნდა ქოტა დაქანებული იყოს, რომ დაგროვილი წვიმის წყალი ხელ ნელა წაიდინოს ტერასის ბოლოსაკენ. ასე დაკიბული ადგილი დაფარული იქნება ჩამორეცხვისაგან.

გარდა ამისა აუცილებელია, რომ ჩაის ბუჩქის გასაშენებელი ადგილები დაცული იყოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარებისაგან, რადგან ქარები დიდ ზიანს აყენებენ ჩაის ბუჩქს და აბრკოლებენ მის განვითარებას. ამიტომ საქეგრელოში და ზოგიერთ სხვა ადგილებში საჭიროა საფარის გაკეთება ქცეხარეებისაგან.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ

ვიდრე ნიადაგის დამუშავებას დაიწყებდეთ, საჭიროა ის გაიწმინდოს: ბუჩქები და ბარდი გაიკაფოს, აგრეთვე ძოაცილოთ ამ ადგილს ჯირკვები, ხეების ძირები — შეავსოთ ერთად და დასწვათ. ამით ნიადაგი გაიწმინდება და გაიყოყიერდება. უნდა მოაშოროთ ხაკვეთს აგრეთვე დიდი ქვები.

შემდეგ ეს ადგილი უნდა შემოიღობოს, რომ საქონელმა ნიადაგი ფეხით არ დატკეპნოს, ეს გააძნელებს შემდეგ ჩაის თესვას.

უძჯობესია თუ მავთულის ღობეს გააკეთებთ; საკმარისია ექვსი წყება მავთული; მართალია, ასეთი ღობე უფრო ძვირი ჯდება, მაგრამ სამაგიეროდ დიდხანს სძლებს და გლეხისათვის უფრო ხელსაყრელია. ჩვენში განსაკუთრებით გურიაში და აჭარაში იციან თხილას ღობეს გაკეთება. ასეთი ღობე ერთი წელიწადს ახ დიდი ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ის ერთი წელიწადს სძლებს, შრომა კი იგივე ძოდის

თხძელის ღობე არ არის ხელსაყრელი. თუ ძაცთულის ღობეს გაკეთება მოუხერხებელია გლეხისათვის, კარგია აგრეთვე ჩქერის ღობე, ისიც დიდხანს სძლებს.

ყოველ შემთხვევაში უნდა დაიმახსოვროთ, რომ შეუღობავ ადგილებში ჩაის ბუჩქის გაშენება არ ვარგა.

ღობეს ირგვლივ უნდა შემოვლოს თხრილი 72 სანტიმეტრის (ერთი არშინის) სიგანის და იძდენივე სიღრმის.

ღობეს შიგნით კარგია თუ გააყოლებთ ეგრეთ წოდებულ გარეულ ლიმონს (ტრიფოლიატა) ორ წყებათ. 3—5 წლის შე დიდ გექნებათ საუკეთესო ცოცხალა ღობე. საჭიროა აგრეთვე, რომ ტრიფოლიატა ყოველ წლიურად გადაკრიპოთ, მაშინ უფრო სქელი ღობე გექნებათ.

ამის შემდეგ უნდა შეუდგეთ ნიადაგის დამუშავებას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან რაძდენად ნიადაგი კარგად იქნება დამუშავებული, იმდენად დიდხანს გასძლებს ჩაის ნარგავი და მეტ და უკეთ ს ხარისხის შემოსავალს ძოგცემთ.


ნიადაგი უნდა დამუშავდეს ორი ბარის პირზე, ისე როგორც ჩვენში სავენახე ძიწებს ამუშავებენ.

გადაბრუნებულ ფხვიერ მიწაში ჩაის ბუჩქი ღრმათ უშვებს ფესვებს და კარგად ხეირობს. ნიადაგი უნდა გადააბრუხოთ არა ნაკლებ 45 სანტიმეტრზე (10 ვერშოკი); ხოლო თუ ქვ ნიადაგი წყლის ცუდი გამტარეა. საჭიროა ნიადაგი დაებაროს ორ ბარის პირზე — პლანტაჟის წესით ზეგან ადგილებზე და ფერდობებზე კი, თუ ხიადაგი ღრმა, მსუბუქი და ფხვიერია, შეიძლება ნიადაგი უბრალოდ გადაბრუნდეს, მაგრამ აუცილებლად 45 სახტიმეტრზე (10 ვერშოკზე).

მიწის გადაბრუნების დროს საჭიროა, ზედაფენი ქვეშ მოექცეს, ქვე

დაფენი კი—ზევით. ასეთ წესით დამუშავებული მიწა უფრო ხოყიერია და ჩაისათვის მეტად სასარგებლო.

დამუშავებულ ნიადაგს უსწორმასწორო ზედაპირი აქვს. საჭიროა მისი გასწორება, რადგან უსწორო ადგილებში შესაძლოა წვიმის წყალი დაგროვდეს, რაც საზარალოა ჩაის ბუჩქისთვის; გარდა ამისა უსწორმასწორო ადგილებში ბზის სხივების და სინათლის განაწილება არ არის თანაბარი და ამით ზოგიერთი ჩაის ბუჩქი დაიჩაგრება.



დაჭანებულზე ჩაის პლანტაციის გაშენება.

ამიტომ ნიადაგის ბუჩქებისაგან, ხეებისაგან და ძირებისაგან გაწმენდის შემდეგ საჭიროა რკინის ფარცხის ან უბრალო ჩელტის ორჯერ ან სამჯერ გატარება; ამით მიწაც მოსწორდება და წვრილი ფესვებიც ამოიყრება მიწის ზედაპირზე.

თუ ნიადაგში მიწის ბელტები ბევრია, საჭიროა კავის გატარება. კავი დაშლის ბელტებს, რის შემდეგ ძირების ამოყრა (განსაკუთრებით გვიძრის) ფოკხით გაადვილდება.

პატარა პლანტაციაში ნიადაგის მოსწორება თოხით და ბარითაც შეიძლება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნიადაგის მოუსწორებლად შეუძლებელია ჩაის პლანტაციის წესიერად დაგეგმვა.

ამ რიგად, დამუშავებულ და გაწმენდილ ნიადაგზე ჩაის ნარგავი კარგად ხეირობს და გლეხსაც მეტი შემოსავალი ექნება.


სააქციო საზოგადოებას „საქართველოს ჩაი“-ს მაზრებში ჰყავს ინსტრუქტორები და ტეხნიკები, რომლებიც კარგად არიან გაცნობილი ჩაის გაშენების და მოვლის საქმეს. გლეხობაძ საჭირო შეძთხვევაში უნდა მიმართოს მათ.


მთავრობა, როგორც წინათ აღვნიშნეთ, დიდ დახმარებას უჩენს ჩაის გაშენების ძსურველთ, აძლევს მათ სელსაყრელ პირობებში სესხს, გადარჩეულ ჩაის თესლს იაფ ფასებში და აგრეთვე უზრუნველყოფს ჩაის ფოთლის გლეხისთვის ხელსაყრელ პირობებში გასაღებას.

მთავრობა და სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ დაინტერესებული არიან, რომ ამ დახმარებით შესაფერისი სარგებლობა მოუტანოს გლეხობას; ამისთვის აუცილებელია, რომ ჩაის ბუჩქი წესიერად იყოს გაშენებული.

ცხადია, რომ ის, ვინც მიზანშეწონილად არ გამოიყენებს მიცემულ სესხს და ხეირიანათ არ დაამუშავებს საჩაიე მიწას, ასეთი გლეხი დაკარგავს ნდობას და შემდეგ დახმარება აღარ მიეცემა; ის თავის თავსაც აზარალებს და მთავრობასაც.

ამიტომ, ჩაის ნარგავების გაშენების დროს გლეხობამ უნდა შეასრულოს ის მითითებები და დარიგება, რომელსაც მათ გამოცდილი ხალხი—ჩვენი აგრონომები, ინსტრუქტორები და ტეხნიკები აძლევენ. აგრ. ვ. ჯაში.





მეაბრეშუმეობა საქართველოში

აბრეშუმი ადრეული შეკოსავალია

ჩვენი სოფლის მეურნეობაში მეაბრეშუმეობას განსაკუთრებული ალაგი უჭირავს. არც ერთ სოფლის მეურნეობის დარგს ისეთი სწრაფი შედეგი არ მოაქვს, როგორც მეაბრეშუმეობას.

გარდა ამისა ის ისეთ მსუბუქ სამუშაოს წარმოადგენს, რომ ქალის, ბავშვების და ხანში შესული პირების გაცოყენება, როგორც მუშა—ხელისა. ადვილია.

ჩვენი გლეხის ეკონომიური მდგომარეობაში მეაბრეშუმეობას დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს; სწორეთ იმ დროს, როდესაც ზოგიერთებს ოჯახის საჭიროებისათვის სიმინდის, პურის ან სხვა რამეს ყიდვა უხდებათ და ხელვიწროებას განიცდიან, აი ამ დროს მეაბრეშუმე გლეხობას პარკის გაყიდვით მოუდის პირველი ნაადრევი შემოსავალი. საშვალოთ, რომ ავიღოთ მეაბრეშუმეობა ყოველ მეაბრეშუმე ოჯახს ერთი ან ერთი თვის განმავლობაში 50—100 მანეთს მაინც აძლევს.

საქართველოში არ მოიპოება თითქმის არც ერთი კუთხე, სადაც მეაბრეშუმეობის აყვავება არ შეიძლებოდეს, რადგან მისი ბუნება ძლიერ ხელს უწყობს ამ დარგის განვითარებას. საჭიროა მხოლოდ თუთის (ბჟოლის) ხის გაშენება, რომლის ფოთოლით იკვებება აბრეშუმის ჭია, მასთან ერთად აუცილებელია აბრეშუმის ჭიის კვების წარმოების გაუმჯობესება და ნორმალური პირობების შექმნა ძისთვის.

მართალია, საქართველოს მეაბრეშუმეობას დიდი ისტორია აქვს, მაგრამ მეტი წილი ჩვენი მეაბრეშუმეობისა ჯერ კიდევ ვერ იცნობენ კარგად აბრეშუმის ჭიის ბუნებას: როგორ უნდა მისი რაციონალურად კვება, ხელის შეწყობა, რა ვნებს მას და სხვა.

ამის გამო სხვა მეაბრეშუმე ქვეყნებთან შედარებით ჩვენ ჩამორჩენილი ვართ; ჩვენი საშუალო პარკის გამოსავალი თითო კოლოფ თესლზე, ფუთ-ხახვეარია, უცხოეთში კი თითო კოლოფ თესლიდან სამი-ოთხი ფუთი პარკი ძოჰყავთ.

მართალია ჩვენშიაც არის შემთხვევები, როცა 2—3 ფუთის პარკი აუღიათ, მაგრამ ესეთი შემთხვევები იშვიათია.

მეაბრეშუმეობას საქართველოში დაახლოვებით 100 ათასი ოჯახი ეწევა.

ჩვენში მეაბრეშუმეობა ძმთავრესად დასავლეთ საქართველოშია განვითარებული, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მთავარი რაიონებია: **იმერეთი, გურია და სამეგრელო**, აღმოსავლეთ საქართველოში კი **თელავის და სიღნაღის** მაზრები. დასავლეთ საქართველოში როდ უფრო ინტენსიურად მოკიდა ხელი ამ დარგს მოსახლეობამ აძის ძიზეზი ის არის, რომ დასავლეთ საქართველოში ჩვე ი გლეხობა ეკონომიურად უფრო მეტ სივიწროეს გახიცდის, მცხოვრებთა რაოდენობაც მეტია და აძის გამო მიწის სივიწროეც დიდია,

...ი იძულებული არიან ძრავალ-ხარ დარგს მოკიდონ ხელი საოჯახო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს მეაბრეშუმეობის საუკეთესო ხანად უნდა მივიღოთ წარსულ საუკუნის მე-48—50 წლები. მაშინ, ყოველწლიური პარკის მოსავალი საქართველოში სამას ათასიდან —ოთხას ათას ფუთ ხელდ პარკს უდრიდა. აგრეთვე გვაქვს ცნობები, რომ აბრეშუმის თესლს თვით ადგილობრივათ ვამზადებდით არა მარტო ჩვენი საჭიროებისათვის, არამედ სხვა და სხვა ქვეყნებშიაც გაგვქონდა. 1865—1870 წლებში პარკის მოსავალი თითქმის 50.000 ფუთამდე დავარდა, რადგან უცხოეთიდან შემოტანილი იყო დაზიანებული აბრეშუმის თესლი, რომელმაც აბრეშუმის ჭია გაანადგურა.

1887 წელში დაარსდა ტფილისში ცენტრალური სააბრეშუმო სადგური, რომელსაც დაევალა დასარიგებელ აბრეშუმის თესლის კონტროლი*) საქართველოს ფარგლებში.

მასთან ერთად მასვე დავალებული ჰქონდა ზომების გამოძებნა და ძისი ცხოვრებაშ ი გატარება ჩვენი მეაბრეშუმეობის გაჯანსაღებლათ და მისი გახვითარებისათვის ხელის შეწყობა.

1895—1905 წ. დაარსებული იყო სხვადასხვა ადგილებში მეაბრეშუმეობის კოოპერატიული ამხანაგობები, რომლებიც აწვდიდენ გლეხობას ჯანსაღ თესლს და აწარმოებდენ პარკის გასაღების საქმეს.

თავის დროზე მიღებულ ზომების გამო მეაბრეშუმეობას საქართველოში დაეტყო წინმსვლელობა. უკვე პარკის მოსავალი ნაცვლად 40 ათასი ფუთისა—100 ათას ფუთამდე ავიდა და ეს მოსავალი თანდათანობით იწევდა.

1904—1905 წლის რეაქციამ ხელი შეუშალა კოოპერატივების არსებობას და შემდეგ კიდევ არას დაემატა მსოფლიო ომი და რევოლიუციის პიოკლი წლები, რომლებმაც შეაჩერეს ჩვენი მეაბრეშუმეობის თანდათანობითი ზრდა.

ომამდე 1910—1914 წლის განმავლობაში საშუალოთ საქართველოში რიგდებოდა 115 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი და მოსავალი უდრიდა 130 ათას ფუთ ნედლ პარკს —საშუალო გამოსავალი თითო კოლოფ თესლზე იყო ორთი ფუთიდან —ერთი ფუთი და 10 გირვანქა.

ომის დროს და რევოლიუციის პირველ ხანაში, ესე იგი 1919 წლამდე მეაბრეშუმეობა განიცდიდა კრიზისს: დარიგდა საშუალოთ 42 ათასამდე კოლოფი თესლი, პარკის მოსავალ აც იკლო და 48 ათას ფუთამდე, დავიდა, საშუალო ძოსავალი კოლოფ თესლზე 1 ფუთ პარკს არ აღეძატებოდა.


დაწყებული 1920—1923-მდე, მართალია, თესლის რაოდენობა დაახლოებით იგივე რიგდებოდა, როგორც წინა წლებში, მაგრამ საშუალო გამოსავალი თითო კოლოფ თესლზე ფუთ-ნახევარი პარკი იყო.

1924-დან დაწყებული 1927 წლამდე საშუალოდ 97.000 კოლოფი თესლი რიგდება და პარკის მოსავალი 138 ათას ფუთ ნედლ პარკს უდრის.

თუ ამ სამი წლის საშუალო მოსავალს შევადარებთ ომის წინა წლების მოსავალს—დავინახავთ, რომ ჩვენ არამც თუ ომის წინა წლების ხორმას მივაღწიეთ, არამედ უკვე გადავაცილეთ მას. ამას კიდევ ემატება ის გარემოება, რომ როგორც სჩანს, ჩვენ შევსძელით ნაკლები თესლის დარიგებით მეტი ძოსავლის მიღება, რაც იძის ძაჩვენებელია, რომ დღეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს ძიქცეული მეაბრეშუმეობის გახვითარების საქმეს ჩვენში და ეს უფლებას გვაძლევს ვიქ ნიოთ იმედი, რომ ახლო მომავალში ჩვენ შევსძლებთ ალნიშნულ მოსავალის გაორკეცებას მაინც.

თუ რა ზომებით შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, ამაზე შემდეგ წერილში ვილაპარაკებთ. **ვლ. ნიჟარაძე.**

*) თვალყურის გდება, შემოწმება.



მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა

გონივრულად დაჭეხული მეფუტკრეობა მოსავლიანია.

ჩვენი გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის და ბევრჯერ არ იცის, რას მოკიდოს ხელი, რომ აიტანელ მდგომარეობიდან გამოვიდეს.

საქართველოს შესანიშნავი ბუნება ძველი მეფუტკრეობისათვის საუცხოო პირობებს წარმოადგენს.

ეს დარგი თითქმის ყველა ქვეყნებშია გავრცელებული, განსაკუთრებით ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, ინგლისში და იაპონიაში, სადაც მეფუტკრეობა ძალიან შემოსავლიან დარგს წარმოადგენს, ჩვენში კი, სამწუხაროდ, ეს დარგი დაბალ დონეზეა და უკანასკნელ დრომდე თითქმის არავის არ აინტერესებდა.

ამ ჟამად საქართველოში თითხმეტ ათასზე მეტი მეკრანეა, რომლებიც ძველებურ მეფუტკრეობას მისდევენ.

ჩვენში უმეტესი ხაწილი ჩვენი ფუტკრებისა თითავსებულია ძველებურ კოდებში. გიჟები, როფ ბში და მისი პატრონები ხან ცოტაოდენ შემოსავალს ღებულობენ, ხან სრულებით არა.

მართალია დაახლოებით ერთი მეათხედი ჩვენი ფუტკრისა მოთავსებულია, ეგრეწოდებულ, ჩარჩოიან სკებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სკებშიც ფუტკარი უმეტეს შემთხვევაში მოუვლელია, რის გამო ჩარჩოიანი საფუტკრეებიც თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან მარტივებურ სკებისაგან, ამიტომ თუკცა ჩვენ გლეხობას გაგონილი აქვს, რომ მეფუტკრეობა მეტად შემოსავლიანი დარგია, მაგრამ მაინც ეშვის თვალით უყურებს მას, რადგან არსად კარგი მოწყობილი საჩვენებელი და შემოსავლიანი საფუტკრეები არ უნახავს.

საქართველოში არსებობს მცირეოდენი კარგად მოწყობილი საფუტკრე, მაგრამ ისინი ან სადმე მოსახლეობიდან დაშორებულ ადგილებში იყოფებიან ან და მათი მეპატრონეები მათ ნაშდვილ შემოსავალს ამცირებენ.

ოძამდე ძველი მეფის მთავრობა ამ დარგს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ვისაც კი სურვილი ჰქონდა მეფუტკრეობისათვის მოეკიდა ხელი, ვერც საჭირო იარაღს და ვერც სათანადო რჩევა—დარიგებას ადისათვის ვერ პოულობდა.

ეხლა კი ოდგომარეობა შეიცვალა და ვისაც უნდა ნამდვილად ამ დარგში მუშაობა, შეუძლია მიიღოს როგორც ცოდნა, ისე საჭირო მასალა და იარაღიც.

ფუტკრის მყოლი გლეხს, შეუძლიან მცირე შრომის დახარჯვით და ხარჯის გაწევით მიიღოს კარგი შემოსავალი ძხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წესიერად მოაწყობს და მოუვლის თავის საფუტკრეს.

გონივრულ მეფუტკრეობის წესები

რას წარმოადგენს წესიერი მეფუტკრეობა და რით განსხვავდება მაჯაპაპურ მეფუტკრეობისაგან?

აივრულად დაყენებული მეფუტკრება თხოულობს:

1. ძლიერი ფუტკრის ოჯახების ყოლას;
2. სპეციალურ ცოდნის მიღებას პრაქტიკულ ვარჯიშობის დროს საფუტკრეში და წიგნებში, კურსებზე ან ლექციებზე და
3. ძუშაობის თავის დროზე შესრულებას საფუტკრეში.

წესიერად მოვლილი ათი ღონიერი ფუტკრის ოჯახის ყოლა უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ასი მოუვლელი ოჯახი, სულერთია ჩარჩოიან სკებში არის მოთავსებული ფუტკარი, თუ ძველებურში.

მოუვლელ ფუტკრის ოჯახი ჩვეულებრივად გაზაფხულზე შესდგება არა უმეტეს 10—15 ათასი მუშა ფუტკრისა და სანამ ეს ოჯახი გაძლიერდება ღალიანობაც დამთავრდება და ამ პირობებში ოჯახი ძლივს ასწრებს ზამთრის საკვების მოგროვებას თავის საჭიროებისათვის.

წესიერად მოვლილ საფუტკრეში კი, გაზაფხულზე, ღალიანობის დაწყებამდე, ყოველი ოჯახი შესდგება 50—80 მუშა ფუტკრისაგან, რომლებიც გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში აგროვებენ ორ-სამ და მეტ ფუთ თაფლს თითო სკაში.

ფუტკრის ოჯახების სიხუსტის მიზეზები

ფუტკრის ყოველი ოჯახი შესდგება ერთი დედისაგან და რამოდენიმე ასეული მამლისაგან და რამრენიმე ათასეულ მუშა ფუტკრისაგან.

ფუტკრის ოჯახს აზიანებს: **უდედობა, დედების უვარგისობა, ბუდეების (ფ ჰების) სივიწროვე, მისი უვარგისობა, თაფლის მარაგის ხან ნაკლებობა, ხან ზედმეტობა, მუშა ფუტკრის ნაკლებობა, მამლების ზედმეტი გამრავლება, ფუტკრის ავადმყოფობა, ფუტკრის შორის ქურდობა, ახვა და სხვა მავნებლების მოქმედება დასხვა.**

შეიძლება თუ არა მამაპაპურ სკებში აღნიშნულ ძიზეზების მოსპობა ან გამოსწორება? არა, არ შეიძლება.

მარტო ჩარჩოიან სკებში, ე. ი. დასაშლელ სკებში შეიძლება ბუდის განხილვა, დედის ნახვა, ჯიშიან დედების გამოყვანა, უვარგისის შეცვლა, ბუდის გასწორება, ფუტკრის გაძრავლება, სუსტი ოჯახების შეერთება ან გაძლიერება, თაფლის მარაგის გათანასწორება, ხელოვნურად კვება (შაქრით), ავადმყოფობასთან ბრძოლა და სხვა.

თუ სათანადო მუშაობა დროზე არ იქნება შესრულებული, ჩარჩოიან სკების მოთავსებას არავითარი ღნიშვნელობა არ აქვს. ჩარჩოიან სკების მნიშვნელობა იმაშია, რომ მკოდნე მეფუტკრეს შეეძლოს ყველა საჭირო ღონისძიებები დროზე შეასრულოს.

მეფუტკრეობის შემოსავალი

ეხლა მოკლეთ ავღნიშნოთ, რა შემოსავალი შეუძლია გლეხკაცს მიიღოს მეფუტკრეობისაგან, რა თანხა დასჭირდება საფუტკრის მოსაწყობად და რა ხნის განძავლობაში შეიძლება საფუტკრის წესიერად ანუ გონივრულად მოვლა.

ყოველ გლეხის ოჯახს, რაც უნდა მძიმედ იყოს ჩვეულებრივ მუშაობით დატვირთული, მას მაინც შეუძლია წელიწადში მოუაროს 15—30 სკისაგან შემდგარ საფუტკრეს. თითო სკიდან შეიძლება მიიღოს კაცმა უმთავრეს რაიონებში 8—16 კილომდე (20—40 გირვანქამდე) და თუ ფუთს 10 მან. ვივარაუდებთ, მაშინ ყოველ საფუტკრეს შეეძლია მისცეს 70 300 მანეთამდე შემოსავალი: ვინც კი სპეციალურად მოკიდებს ხელს და უფრო გულმოდგინედ მოუვლის ფუტკარს და საფუტკრეს გააფართოვებს, მიიღებს როგორც თითო სკიდან, ისე საფუტკრიდან ორჯერ-სამჯერ მეტს შემოსავალს.

მეფუტკრეობის ხარჯები

ეხლა ვნახოთ, რა თანხაა საჭირო პირველად საფუტკრის მოსაწყობად,

ვინც ჩარჩოიან სკების მოვლა არ იცის ერთბაშად ნუ შეიძენს ბევრ ჩარჩოიან სკებს. ფუტკრის ძოვლის შესწავლა არ შეიძლება ერთ წელიწადში, საჭიროა ორი-სამი წელიწადი. ამიტომ ორ სამ ჩარჩოიან სკის მეტი (თავისი მოწყობილობით) არ უნდა შეიძინოთ დასაწყისში, ორ სამ წელიწადში შეისწავლით ფუტკრის მოვლას (აგრონომების და ინსტრუქტორების რჩევა დარიგებით და ხელმძღვანელობით) და ამაობაში საფუტკრეც გადიდება.

ა კვარად პირველად საჭიროა შეიძინოთ:

1. ორი-სამი ჩარჩოიანი სკა, ღირებული 24—30 მანეთამდე,

2. მეფუტკრეობის სხვა და სხვა წვრილმანი ხელსაწყო 7—10 მანეთამდე და მეორე წელიწადს.

3. ციბრუტი ანუ თაფლის გამომწურავი მანქანა, 25—35 მანეთამდე ღირებული, სულ 56—75 მანეთისა.

ეხლა გამოვარკვიოთ, თუ რა ხნის განმავლობაში ან რამდენი სამუშაო დღეა საჭირო საფუტკრის წესიერად მოსავლელად. საშუალოდ მოუნდება: გაზაფხულზე 2—4 დღე, ზაფხულზე 6—8 დღე, შემოდგომაზე 2—3 დღე და ზამთარში 1—2 დღე, სულ 11—17 დღე და გახუნწყვეტელი მუშაობა მოუნდება მარტო 3—5 დღის განმავლობაში, დახარჯენი კი შეიძლება დრო გამოშვებით და დღის განმავლობაში თავისუფალ დროს. საფუტკრის მუშაობაში შეუძლიან მონაწილეობა მიიღონ როგორც ქალებმა, ისე ახალგაზრდა ოჯახის წევრებმა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ სხვა და სხვა ძთავარ დარგებისათვის, რომლებიც დიდ შემოსავალს იძლევიან, საჭიროა მიწა, შენობები, დიდი თანხა, ხანგრძლივი მუშაობა და სხვა, მეფუტკრეობას ყოველივე ეს არ უნდა: არც მიწა (გარდა პატარა ადგილსა ეზოში ან ბაღში), არც საგანგებო შენობები, არც დარაჯი, არც საზრდოს დამზადება, არც ყოველდღიური კვება და სხვა.

სად და ვისგან შეიძლება მეფუტკრეობის ცოდნის მიღება სკების და სხვა ინვენტარის შეძენა.

ადგილობრივ აგრონომიული ორგანიზაციები ყოველწლიურად მართავენ მოკლევადიან კურსებს, აწყობენ ლექციებს და საუბრებს. ამ დარგში მუშაობას აწარმოებენ მაზრა-ღმასკომები: ტფილისის, გორის, სიღნაღის, თელავის, შორაპნის, ლეჩხუმის, ქუთაისის, რაჭის, და სხვა.

მიწსახკომი ყოველ წლიურად ტფილისში უფასოდ აწყობს სამთვიანი მეფუტკრეობის ტეხნიკოსთა კურსებს, გარდა ამისა ადგილობრივათ ეწყობა მოკლე ვადიანი (ორკვირეული) კურსები მიწსახკომის და ადგილობრივ აგრორორგანიზაციების ინსტრუქტორების ხელძღვანელობით.

მეფუტკრეობის ინვენტარი ანუ ხელსაწყო იყიდება მიწსახკომის საწყობში, ტფილისის აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების მაღაზიაში.

სკების და ხელოვნურ ფიჭის დასამზადებელი სახელოსნო კარგად მოწყობილი აქვს აღნიშნულ სამიწათმოქმედო განყოფილებას და მიწსახკომს. ასეთივეს აპირებს გორის მიწათმოქმედების განყოფილებაც.

მომავალ გაზაფხულიდან მეფუტკრეობის ინვენტარს გლეხობას ძიაწვდის მოკლევადიანი სესხის სახით „**სოფლის კავშირი**“ ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

ახლოვდება გაზაფხული და ვისაც საფუტკრის მოწყობის სურვილი აქვს, უნდა გადაუდებლივ მიმართოს რაიონის აგრონომს და საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებიც დროზე გამოუწერენ სკებს, ხელოვნურ ფიჭას, ციბრუტს და სხვა იარაღს.

ახლო მომავალში გაზეთ „ახალი სოფელში“ გამოცხადებული იქნება მიწსახკომის და ტფილისის სამიწათმოქმედო განყოფილების საწყობის და სახელოსნოს მეფუტკრეობის ხელსაწყობების ფასები. **პ. ლოლაძე.**

სოფლის კოლექტიური მეურნეობანი

სოფლის მეურნეობა დღეს კოლექტიურ-საამხანაგო შრომაზეა დამყარებული. ეს არის მთავარი საშუალება ღარიბი და საშუალო გლეხების ორგანიზაციულათ ჩამოსაყალიბებლათ და მათი დაქუცმაცებული მეურნეობის კულტურულათ ძოსაწყობათ.

სოფლის მშრომელი გლეხობის კოლექტიურ ორგანიზაციებში გაერთიანება ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებიდან დაიწყო, რაც აიხსნება ჩვენი ხელისუფლების ბუნებით, რომელიც ღარიბი და საშუალო გლეხების ყოველმხრივი დახმარებისაკენაა მიმართული.

დღეს ყოველი სოფლის მეურნისათვის ცნობილია, რომ ღარიბი და საშუალო გლეხს თავის მეურნეობის ჯარგად მოწყობა და წარმოება არ შეუძლია, რადგან მას საშუალებები არ მოეპოება, შეიძინოს მეურნეობისათვის საჭირო გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები: სალეწი მანქანა, ტრაქტორი, სეპარატორი, ტრიერი, და სხვა მრავალი. მეურნეობის კულტურულათ წარმოება კი ამ იარაღ-მანქანებს აუცილებლათ მოითხოვს. მაგრამ ცალკე მეურნისათვის ეს ყოველთვის ხელმიუწდომელი იქნება ერთის მხრივ იარაღ-მანქანების სიძვირის გამო და მეორეს მხრივ, გინდაც რომ მოახ ხეოს მან მათი შეძენა, ეს არ იქნება მისთვის ხელსაყრელი, რადგან მეტ დროს ისინი უქმად იქნებოდა გაჩერებული. ასეთი მანქანების შეძენა ხელმისაწდომია მხოლოდ ამხანაგურად გაერთიანებულ გლეხობისათვის და ხოლოდ ამ პირობებში მანქანები მუქთად არ დარჩებიან.

ჩვენ საქმე გვაქვს სოფლის ღარიბ-ღატაკ და საშუალო გლეხობის გაერთიანებასთან, რომელთაც გარდა ხელისუფლების მიერ მიცემული მიწისა და თავისი საკუთარი შრომისა, არ გააჩნიათ არც იარაღ მანქანები და არც მუშა საქონელი. ასეთ სახიარო შრომით წარმოებულ მეურნეობას ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობა ყოველმხრივ დახმარებას უწევს, როგორც სესხის ძიწოდებით, აგრეთვე იარაღ-მანქანებით და სხვა. ასეთი სახის კოლექტიური მეურნეობანი მიჩნეულია ჩვენი ხელისუფლების და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის ძიერ, როგორც ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც ძოწოდებულია ჩვენი სოფლის სოციალისტურათ გარდასაქმნელათ.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების შექმნისა, როგორც რუსეთში, ჩვენშიაც, ხალხში თავისით წარმოიშვა სხვა და სხვა სახის კოლექტიური მეურნეობა. კერძოთ საქართველოში დღეს 100-ზე მეტი კოლექტიური მეურნეობაა: კომუნა 8, სასოფლო-სამეურნეო არტელი 19, მიწის საზოგადო შრომით დამამუშავებული ამხანაგობა 59 და სამანქანო ამხანაგობა – 22. ყველა ჩამოთვლილი ამხანაგობა აერთიანებს ჩვენი სოფლის 2000-ზე მეტ გლეხის ოჯახს ანუ საშუალოთ-10 ათას სულს. აქედან სამი-მეოთხედი ღარიბი გლეხია, დანარჩენი კი საშუალო შიძლების გლეხი.

აღნიშნულ მეურნეობებში გაერთიანებულ გლეხებს აქვთ 2.500 დესეტინა მიწა, რაც თითო ამხანაგობაზე საშუალოდ 25 დესეტინა მოდის. გაშენებული აქვთ ვაზი, ბამბა, თამბაქო, ლუფა, ჩაი, ბაღ-ბოსტანი, ნამყენი მანდარინა და სხვა.

ამ კოლექტიურ მეურნეობებს აქვთ: ტრაქტორი — 24, ტრიერი — 15, სალეწი მანქანა – 8, გუთანი — 60, ვერმორელის აპარატი — 50, ყურძნის საწური — 5 და სხვა. აქედან ცხადად სჩანს, თუ რა ხელგაშლით ეხმარება ჩვენი ხელისუფლება კოლექტიურ მეურნეობებს იარაღ მანქანებით. აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მათზე გაცემულ სესხის რაოდენობაც 300 ათას მანეთს აღემატება.

მაგრამ ჩვენ კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობას არ ჰქონდა გეგმიანი ხასიათი, რადგან სათანადო ხელმძღვა-


ნელობა აკლდათ მათ ჩამოსაყალიბებლათ. პირველ ხანებში ეწყობოდა კოლექტივების ურთულესი ფორმა — კომუნები. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომელშიაც მათ დაარსება უხდებოდათ. მეხვილი მემამულეებისაგან ჩამორთმეული ქონება ხელისუფლების მიერ ეძლეოდა სოფლის უიწაწყლო და უპახლარო გლეხობას, რომელიც ამ მამულზე აწყობდა ოჯახების გაერთიანებას და საერთო შრომით მართვას. ასეთი სახე მშენებლობისა პირველ ხანებში მოედო ყველა კუთხე-, მაგრამ ეს რთული ფორმა თან და თან შეიცვალა უფრო მარტივით, როგორიცაა მიწის სახოგადო შრომით დამამუშავებული ამხანაგობა, სასოფლოსამეურნეო არტელი და სამანქანო ამხანაგობა. ასეთ რჩევა-დარიგებასაც იძლევიან ჩვენი ხელმძღვანელი უმაღლესი ორგანოები, რადგან კომუნის მოწყობა და მისი მართვა მოითხოვს დიდ ძალებს და რთულია, ამისათვის, როგორც ზევით აღნიშნეთ, ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში ეწყობა გლეხობისათვის ჯერ-ჯერობით უფრო შესაგუებელი და გასაგები მარტივი გაერთიანებანი.

გლეხობამ ნათლად დაინახა, თუ რა სარგებლობა მოაქვს მისთვის საამხანაგოდ წარმოებულ შრომას, რისთვისაც ამ უკანასკნელ ხანში სწრაფათ იზრდება რიცხვი ასეთი გაერთიანებისა. მშრომელი გლეხობა ერთსულოვნათ ეგებება ასეთ თავის დამმხმარე ორგანიზაციების დაარსებას.

მაგრამ სოფლის ბობოლას, მდიდარს, კულაკურ გლეხებს, რომელთაც ხელიდან ეცლებათ ღარიბი გლეხები, არ მოსწონთ ასეთი მშენებლობა. კოლექტივის სახით სოფლად იქმნება ღარიბ და საშუალო გლეხობისაგან მტკიცე უჯრედი, რომელიც სასტიკ ბრძოლას უცხადებს სოფლის კულაკებს, რომელნიც ყოველთვის მშრომელი გლეხობის ყველაფით ცხოვრობდენ. ამასთანავე კოლექტიური მეურნეობა ხდება სოფლის კულტურის ცენტრათ, საიდანაც ახლო მცხოვრებნი სწავლობენ იარაღ-მანქანების მოხმარა-გამოყენებას და მეურნეობის მიზანშეწონილათ წარმოებას. კოლექტივის ირგვლივ იზრდება გლეხების მისწრაფება საამხანაგო შრომის სარგებლიანობისაკენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავათ ასეთი მოკლე ხნის არსებობისა და ზოგიერთ ნაკლისა საქართველოს კოლექტიურ ამხანაგობებმა საკმაო კარგი სახელი მაინც მოიპოვეს მშრომელ გლეხობაში და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს ჩვენი სოფლის სოციალისტურათ მოსაწყობად.

ვლ. ცაგარელი.



პროფესორი კ. მ. ამირეჯიბი

ვისაც ამ უკანასკნელ ოცდათხუთმეტ წლის განმავლობაში უდევნებია თვალყური ჩვენი სოფლის ცხოვრების და სოფლის მეურნეობისათვის, იმან არ შეიძლება არ იცოდეს, თუ ვინ არის **კ. ამირეჯიბი.**

სწორედ წელს შესრულდა 35 წლიწადი, რაც პროფესორი **კ. ამირეჯიბი** უმაღლესი სწავლით შეიარაღებული დაბრუნდა საქართველოში და მას აქეთ დაუღალავად მუშაობს ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

მიუხედავად ჩამომავლობისა და განათლებისა, მან თავის ძოღვაწეობის ასპარეზად აირჩია სოფელი —



ავლევი, ქართლის ერთი ყრუ სოფელი, სადაც მან მოჰკიდა ხელი სოფლის მეურნეობას, რომელიც მან **სამაგალითოდ** დააყენა.

კ. ამირეჯიბმა ჯერ გახსნა წერა-კითხვის სკოლა, ძერე სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემკეთებელი სახელოსნო, დაარსა მანქანების გამქირავებელი პუნქტი, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, გამართა წისქვილები, ელექტრონის სადგური, კოოპერატივი და სხვა.

ასეთი მრავალმხრივი იყო პროფესორ კ. ამირეჯიბის მოღვაწეობა სოფლად.

მაგრამ ამით არ თავდება პროფესორ ამირეჯიბის მოღვაწეობა. როცა ის სწავლასთან ერთად გამოცდილებით შეიარაღდა, ჩამოდის ტფილისში, სადაც ის აჩაღებს მხურვალე მუშაობას სამეცნიერო დარგში და ხდება ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი ჩვენი ახალგაზრდა აგრონომებისა.

იყო დრო, როცა ჩვენში შემოქონდათ ის გუთნები და ის იარაღები, რაც კეთდებოდა უცხო ქვეყნებში, არას დაგიდევდნენ იმას, გამოდგებოდნენ თუ არა ისინი ჩვენს პირობებში. ხშირად ამ მანქანა-იარაღებით ხალხი გულგატეხილი რჩებოდა.

ეხლა ეს აღარ ხდება. დღეს ჩვენთვის აკეთებენ და **ვღებულობთ მხოლოდ ისეთ იარაღებს, რომლებიც ჩვენ პირობებში გამოდგებიან.**

და ეს ასე ხდება პროფესორ ამირეჯიბის მეოხებით.

ძის მეოხებითვე მოწყობილია მიწად-ოქმედების სახალხო კომისარიატთან **მანქანათა საცდელი სადგური,** სადაც ყოველ გლეხს შეუძლია თავისი ძანქახის შეკეთება. მისი წყალობით დღეს ჩვენ გვყავს საკმაო რიცხვი მეტრაქტორეთა და ამისა გამო ჩვენი ტრაქტორებიც მუქთად არ დგახან.

ერთი გარემოებაა კიდევ აქ აღსანიშნავი, ეს ის, **რომ პროფესორი ამირეჯიბის აზრით ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინება და წინწაწევა მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიური ძალით, კოლექტიურ გზით შეიძლება.**

მიეცით გლეხს მანქანა და გლეხი თვითონ დაირაზმება კოლექტიურად ამ ძანქანების გარშემო. აი რას ქადაგებს პროფესორი ამირეჯიბი.

პროფ. ამირეჯიბის ღვაწლი დააფასა ჩვენმა მშრომელმა ხალხმა და მისმა ხელისუფლებამ. ამას წინეთ პროფ. ამირეჯიბს გადაუხადეს 35 წლ ს მოღვაწეობის იუბილე.

პროფესორ ამირეჯიბის პატივსაცემათ მანქანათა საცდელ სადგურს კ. ამირეჯიბის სახელობის სადგური ეწოდა.

ᲮᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

ᲙᲣᲭᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐ

რა არის საჭირო მიწის მუშისათვის?

— მიწა! კარგი ხარკამეჩი! კარგი სახლი! ტრაქტორი! კარგი გზა! ცოდნა!

— უუჰ, როგორ მომაყარეთ ტყვიასავით პასუხი! ყოველივე ეს ფრიად და ფრიად საჭიროა, მაგრამ მიწის მუშისათვის თავიდათავი ჯანმრთელობაა.

თუ მიწის მუშა ჯანსაღია, დღევანდელს პირობებში, ის გამოსჭედავს თავის ბედს: **დღეს ცხოვრებაც მისია, მთავრობაც მისია, კანონიც და სამართალიც**

სნეულს და დაძაბუნებულ მიწის მუშას რისი გამოჭედვა შეუძლია? არაფრის.

მხოლოდ ჯანმრთელ მუშას შეუძლია ახალი ცხოვრების აგება.

მხოლოდ ჯანმრთელ მუშას ეკუთვნის მომავალი.

ჩვენი სხეული ერთგვარ მანქანას წარმოადგენს რომელიც შეუჩერებლად მუშაობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. საჭუშაო ძალას ის იკრებს იმ საზრდოდან, რომელსაც იგი ყოველდღე ღებულობს. მაგრამ თუ საზრდო არ გადიხარშა, არ გადამუშავდა კარგად კუჭსა და ნაწლავებში, ისე ჩვენი სხეულისათვის გამოუსადეგარია.

რას გვასწავლის ყოველივე ეს?

აი რას:

ვისაც საღი კუჭი და ნაწლავები აქვს, ძალაც მასა აქვს და ღონეც. მართლაც საღი კუჭი მიწის მუშისათვის დაუფასებელი განძია. თუ მიწის მუშას კუჭი დაუსნეულდა, სუსტდება, მუშაობა უჭირს, ტკივილები აწუხებს.

ყოველივე ამას თან ერთვის ხასიათის შეცვლაც: მიწის მუშა გულგატეხილია, მოწყენილი, ხალვლიანი, დაღვრემილი, ხალისი აღარაფრისა აქვს, აღარაფერი იმის გულს აღარ ახარებს და სიკვდილსა ნატრობს.

ᲙᲣᲭᲡᲐᲪ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ

როგორც საჭონელს უნდა მოვლა და პატრონობა, ისე უნდა კუჭსაც. მი ის მუშამ კი არა თუ არ იცის კუჭის მოვლა, ბევრჯერ როგორც მტერი და ორგული ისე ეპყრობა მას.

ადამიანის კუჭი წარმოადგენს პარკს, რომელიც დაკიდებულია მუცელში მარცხენა მხარეზე ჭიპს ცოტა ზევით, ზოგს კი ჩამოწეული აქვს ცოტაოდნად ჭიპს ქვემოთ.

არ გინახავთ ღორის კუჭი? აი ჩვენი კუჭი ძალიან წააგავს ღორის კუჭს სისქითა და მოყვახილობით. ზოგიერთი ადამიანი ხასიათითაც კი მიემგვანება ღორს: მთელი დღე პირს არ გააჩერებს, ჭამს, სვამს და ღრიალებს სუქდება.

საბედნიეროდ ასეთი ჯიშის ხალხი მიწის მუშებში არ ურევია.

არ გეგონოთ, რომ კუჭი დიდი იყოს: ძამაკაცის კუჭი რვა გირვანქა წყალს იტევს, დედაკაცისა უფრო ნაკლებს.

— ზოგიერთი რომ, ნახევარ ჩაფ ღვინოს დალევს? მკითხავთ თქვენ. ძართალია, არიან ამისთანა პირუტყვებიც.

ხომ გაგიგონიათ: მუცელს აღორებ, ღორიაო?

ჰოო და თუ ადამიანი ღორად გადიქცა, მისი კუჭიც თანდათან იმდენად გაიწევა, რომ რვაგირვანქას კი არა ხუთჯერ რვასაც დაიტევს. მაგრამ ეს არის სნეულება და არა ჯანმრთელობა, მე კი მოგახსენებთ საღ, ადამიანურ კუჭზე.

როგორც პირში გვაქვს გამოკრული ლორწოვანი კახი ანუ გარსი, აგ-

რეთვე კუჭია შიგნიდან გაკრული ლორწოვანი გარსი; ამ გარსში დატანებულია მრავლისაგან უმრავლესი პაწაწკირტელა ჯირკველი. როდესაც საშვილს შივიღებთ, ეს ჯირკველები აძუშავდებიან და ამზადებენ კუჭისწვენს, რომელიც ჯირკვლებიდან კუჭში მოჟენავს.

კუჭის წვენი ძალიან მჟავე არის და საზრდოს ინელებს, გათქვეფავს და ფაფად გადაქცევს.

საშვილის მონელების დროს კუჭი მუშაობს, მოძრაობს; ამისათვის კი საჭირო არის კუნთები. ეს კუნთები დატანებულია კუჭის კედლებში და ისინი აძლევენ კუჭს ერთგვარ სიმაგრესა და სისქეს.

თავიდათავი მნიშვნელობა აქვს კუჭის მჟავე წვენს, რომელიც მზადდება კუჭის ჯირკვლებში.

კუჭის ჯირკვლების ანუ საერთოდ ლორწოვანი გარსის დასნეულებას ეწოდება **კუჭის კატარი.**

როდესაც კატარი ახალია, მას ვუწოდებთ **მწვავეს;** თუ მოძველებულია, დიდი ხნის, ეს არის **დახანებული კატარი.**

კუჭის მწვავე კატარი იწყება ერთბაშად. სრულებით საღ ადამიანს წამოსტკივდება ძუცელი გულის კოვზთან ან ჰიპის გარეშემო. გულხელ ეხვევა, მუცელი ეწვის, ებერება, გული ერევა, თავი სტკივა, სისუსტესა გრძნობს, ტანში ამტვრევს, ხელფეხი უცივდება, პირს აღებინებს, ცივ ოფლს ასხავს; ზოგჯერ შეაცივებს და სიცხეს მისცემს, ზოგჯერ კი ავადმყოფობა უსიცხოდ მიმდინარეობს. ნაჭამს რომ ამოაღებინებს სულ, შემდეგ ამოსდის იწვავე და მწარე სითხე, რასაც წაღას უწოდებენ.

ზოგჯერ ავადმყოფს მუცელი უგრიალებს და ფაღარათიც აუვარდება. მეორე დღესვე უკეთა გრძნობს თავს, მხოლოდ დასუსტებულია, პირი უშრება ძალა სრულებით არა აქვს და წყალი სწყურია.

რა იწვევს კუჭის მწვავე კატარს? უზომოდ სმა და ჭამა, უფრო ხშირად კი მაწყინარი რაიმე საჭმელი: წამხდარი ხორცი ან თევზი, უმი ხორცი ღორისა ან ქათმისა, ზოგიერთი სოკო, მოუკალავ ვაბში გაკეთებული საჭმელი და სხვ.

კუჭის მწვავე კატარი რამოდენიმე დღეში რჩება, თუ ავადმყოფმა თავს მოუარა.

აუცილებელია წოლა სამი-ოთხი დღე, რადგანაც კუჭი მაშინ უფრო მოსვენებულია **დღე და ღამის განმავლობაში ავადმყოფმა არასფერი არ უნდა ჭამოს და დასნეულებული კუჭი დაისვენოს. შეუძლია, ჭლაპოს ცივი წყალი, ისიც ძალიან ცოტა.** წყურვილის მოსაკლავად კარგი საშუალებაა ხშირად პირში ცივი წყალის გაკოვლება.

ავადმყოფმა საჭმელს უნდა მიმართოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მადა მოუვა; მაშინ უნდა დალიოს მთელი დღის განმავლობაში სამი ან ოთხი დიდი ჭიქა რძე, მეტი არაფერი. მეორე დღეს რძეს მიუტატოს მაწონი; მესამე დღეს ერთი ან ორი თოლხო კვერცხი, მეოთხე დღეს რძის ჭაში და ხმელი ლავაში, მ. ხუთე დღეს ირხარშული ვარია და გამომშრალი პური და შემდეგ თანდათანობით გადავიდეს ჩვეულებრივ საჭმელზე.

— ღვინო არ შეიძლება? მკითხავთ თქვენ.

კუჭის მწვავე კატარის დროს და შემდეგ მთელი ერთი კვირის განმავლობაში ღვინოს ან სხვა რაიმე მაგარი სასმელის მიღება ყოვლად შეუძლებელია. სამაგიეროდ სასარგებლოა მჟავე წყალი ბორჯომისა ან სხვა.

კუჭის მწვავე კატარი ხშირად მალე ცხრება, მაგრამ ორი-სამი კვირის განმავლობაში მაინც საჭირო არის გაფრთხილება, მსუბუქი ჭმელის მიღება. **კუჭი არ უნდა დაჭაღლოთ, არ უნდა ჩაჭყაროთ შიგ ყოველისფერი, არამედ დასვენოთ,** თორემ მწვავე კატარი ნელახელა და შეუმჩნეველად გადაიქცევა დახანებულ კატარად, რაც მეტად მძიმე, ხანგრძლივი, ჭირ-

ვეული და ჯიუტი სნეულება არის. ის ითხოვს ავადმყოფისაგან დიდ წამლობას, დიდ დროს, დიდ მოთმინებას, დიდ გაფრთხილებასა და თავის მოვლას, რაც ყველას არ შეუძლია.

ამიტომ სახამ კუჭის კატარი ახალია, იწვავი, ძაშინ უნდა გაუფრთხილდეთ თავს და დროზე მოირჩინოთ. ორი საათი კვირა კიდეც რომ მოიშიოთ თავი, ამით არა დაშავდებარა, გაკეთებით კი ძალიან ბევრი გაკეთდება: გამომრთელდებით და თავიდან აიცდენთ ხანგრძლივად დასნეულებას.

ზოგიერთი კი, აქაოდა მოვიკეთეო, მეოთხე დღესვე ლხინში ჩაჯდება. გააღებს ხახას და ისხაის შიგ ნუნუას; მოვა სახლში და დაიწყებს მეორე დღეს ვაივაის.

რა მოუვიდა, რა დაემართა?

დაემართა ის, რომ კუჭის კატარი განუახლდა და ახლა დახანებულად გადაექცევა.

დახანებული კატარი

კუჭის დახანებული კატარის დროს დასნეულებულია კუჭის ლორწოვანი გარსი და შიგ დატანებული ჯირკვლები; ამიტომაც უმთავრესი ცვლილება ეტყობა კუჭის მჟავე წვენს.

კუჭის დახანებული კატარი სამნაირია: ზოგიერთ შემთხვევაში კუჭის წვენში სიმჟავე ნაკლებია, ზოგჯერ სიმჟავე სრულებით მოსპობილია, ზოგჯერ კი მოჭარბებულია.

კუჭი დახანებული კატარია იწყება ნელა-ნელა. პირველ ხანებში ავადმყოფს ცოტაოდენად აწუხებს საჭმელის მიღების შემდეგ და ამის გამო ყურადღებას არ აქცევს. სნეულება თანდათან მატულობს და, როდესაც საკმაოდ შეაწუხებს, ავადმყოფი ეხოლოდ მაშინ მიაქცევს ყურადღებას.

რა იწვევს კუჭის დახანებულ კატარს?

მწვავე კატარი, უვარგისი საჭმელი, ლოთობა, ბევრი არაყი—აი ყოველივე ეს უმთავრესი მიზეზია დახანებული კატარისა.

თუ ავადმყოფს კუჭის წვენში სიმჟავე დაკლებული აქვს, ძაშინ არაფერი მას არ აწუხებს, სანამ მშიერია, მხოლოდ პირი აქვს უკომური და ენაზე თეთრად აქვს გადაკრული.

მიიღებს თუ არა საჭმელს, მაშინ იწყება მისი შეწუხება: მუცელზე წამოჰბერავს, გული უმძიმდება, აყვედრებს, აბოყინებს, ზოგჯერ პირიდან ლაყე კვერცხის სუნი ამოსდის ბოყინის დროს. ზოგჯერ გული ერევა და თუ კატარი მორეულია, წამოაღ ბინებს კიდეც ხან მჟავე სითხეს, ხან კი საჭმელს.

ავადმყოფი ცდილობს, ცოტა სჭამოს, აღარა ძღება, რადგანაც გაძღომის შემდეგ განსაკუთრებით ცუდათა გრძნობს თავს.

ის თანდათან ამჩნევს, რომ მსუბუქი საჭმელი იმდენად არ აწუხებს, როგორც ლობიო, ხორცი, მჭადი, ამიტომ თახდათან თავს ანებებს ძნელად მოსანელებელ საჭმელს. თანდათან სუსტდება, ხდება, ხან შეკრულია მუცელში, ხან კი ფაღარათობა აუტყდება, უგუნებოდ არის. უხალისოდ; საჭმელის მიღების შემდეგ განსაკუთრებით სწყურია.

თუ კუჭის წვენში სიმჟავე სრულებით აღარ არის, მაშინ ავადმყოფის მდგომარეობა კიდევ უარესია: მეტად მსუბუქ საჭმელსაც კი ვეღარ ინელებს, გული ერევა, პირს აღებინებს, სუსტდება, სისხლი აკლდება; ყოველივე, ამას ზოგჯერ ხედ ერთვის ფაღარათობა და ავადმყოფი მსხვერპლი ხდება საერთო სისუსტისა.

როგორი წამლობა არის საჭირო ყველა ასეთ შემთხვევაში?

ერთად ერთი წამალი არის შესაფერი სასმელ-საჭმელი, დასნეულებულ კუჭს დასვენება უნდა; **მას უნდა მისცეთ იოლი, მსუბუქი სამუშაო, ადვილად მოსანელებელი საჭმელი:** რძე, რძის ქაში, მაწონი, მაწვნის შეჭამანდი, ქათმის წვენი, მოხარშული ახალი ქათამი, ხანდახან

კარგად შეკაზმული ისპანახი ან მხალი, ხმელი, გამომშრალი პური და წყალი. **ყოვლად შეუძლებელია საქონლის ან ღორის ხორცი, ძველი თევზი, ღორი, ხილი, სამარხო** და მაგარი სასმელები. შეიძლება მხოლოდ წყალგარეული ღვინის დალევა იჯრაზე, ისიც ცოტა.

ყოველი იჯრის შემდეგ ავადმყოფმა უნდა სვას მარილის სიმჟავე გახსნილი, იშოვით აფთიაქში. აიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ცივი წყალი, შიგ გაურიეთ ათი-თხუთმეტი წვეთი გახსნილი მარილის სიმჟავე და დალიეთ პურის ჭამის შემდეგ.

თუ კუჭის წვენში სიმჟავე მოჭარბებულია, მაშინ ავადმყოფს ტკივილები აწუხებს გულის კოვზთან და ჭიპის გარემოში, როდესაც მშიერია, შეჭამს თუ არა საჭმელს ტკივილი დაყუჩდება, მაგრამ ორი-სამი საათის შემდეგ ისევ აუტყდება.


ამიტომ ავადმყოფი იძულებულია, უფრო ხშირად სჭამოს, რომ ტკივილები აღარ აწუხებდეს. ავადმყოფი ზოგჯერ ტკივილებსა გრძნობს უკან წელში, ფრდებში, განსაკუთრებით მარცხნით, გულის წვა აქვს, ამორუჯვა. ზოგჯერ მჟავე წყალი მოსდის ყელში. ხანდახან ტკივილების შემდეგ გული ირევა და ცალიერ წყალს წამოაღებიებს. ისეთი ძვავეა, რომ კბილებსა მჭრისო, ჩივის ავადმყოფი.

თუ ავადმყოფმა დროზე არ მიაქცია სნეულებას ყურადღება, ტკივილები თანდათან ძატულობს, ავადმყოფს მოსვენებას უკარგავს, ნერვებს უშლის, მუცელი ეწვის, სტკივა, უგრიალებს, გული ერევა, პირს აღებინებს, ხდება, ყვითლდება, სუსტდება, გულაღრენილია, ძილი აღარა აქვს, სმა-ჭამა, მოსვენება.

საუკეთესო წამალი აქაც შესაფერი სასმელ-საჭმელია, **ყოველგვარი მჟავეული, მლაშე, პილპილიანი, მაგარი სასმელი, ხილი, საქონლის ხორცი, ღორი, ძველი თევზი მავნებელია.** კარგია მსუქანი რძე, კარაქი, ქათამი, მსუქანი ღორის ხორცი, მხოლოდ მოხარშული. ავადმყოფმა უნდა სჭამოს ცოტა და ხშირად. ძალიან სასარგებლოა მჟავე წყალი და დაწმენდილი სოდა თითო ჩაის კოვზი ნახიკარ ჩაის ჭიქა წყალში დღეში სამჯერ ნახევარი საათით ადრე ჭამამდე და აგრეთვე მუცლის წვის დროსაც.

ბევრჯერ მარგებელია თბილი აბანო.

ივ. გომართელი.



მეცნიერება და ტექნიკა

სოფლის მეურნეობის მიკრობები

რა არის მიკრობი?

ვისაც ჯანმრთელობაზე, ან სხვადასხვა ავადმყოფობა – სენზე ან კიდევ საქონლის სასუქზე და ნიადაგის განაყიერებაზე წაუკითხავს რამ, ალბად ხშირად შეხვედრია სიტყვა **მიკრობი, ბაკტერია, ბაცილა.** მათ სხვაფრივ **თვალით უჩინარ არსებებსაც** ეძახიან. ეს ასეც არის.

ყველა მიკრობი იძლინად პატარა არსებაა, რომ მათი დანახვა მხოლოდ გამადიდებელ აპარატით—**მიკროსკოპით** მეიძლება.

სიტყვა მიკრობი ბერძნულად ნიშნავს პატარა არსებას და წარმოსდგება ორი სიტყვიდან: **მიკრო**—ნიშნავს პატარას, ბიო კი—სიცოცხლის არსებას. აქედან იქ ხელსაწყოს, რომლის საშუალებითაც ადამიანი მიკრობს ხედავს, **მიკროსკოპი** ეწოდება.

ძნელი წარმოსადგენია ისეთი მოვლენა სოფლის ეკონომიაში, რომ მიკრობი არ იღებდეს მონაწილეობას ან მისაგან არ იყოს გამოწვეული: რძის აჭრა, კარაქის დამძაღება, ყველის და მაწვნის შედედება, ტკბილის დუღილი და დაძმარება, სასუქის გაღვივება, სხვადასხვა სიდამპლე და სხვა ძრავალი მოვლენა გამოწვეულია მიკრობებით.

ბუნებიერებათა დაკვირვებით დედამიწაში და მცენარეთა ზედა-პირზეც მრავლად—მრავალი მიკრობია.


ყველას შენიშნული ექნება დამწიფებულ ყურძნის ტევენის ძარცვალზე თეთრი, ძლიერ წვრილი მტვერი, ეს არის ის მიკრობები, რომლებიც ყურძნის გაჭყლეტის შემდეგ იწყებენ ცხოვრებას და იწვევენ ყურძნის წვენის დუღილს.

საკმარისია მწიფე ვაშლის კანი ოდნავ დაზიანდეს, რომ მაშინათვე, თუ სითბო ხელს შეუწყობს, არ დაიწყოს ლპობა.

ესეც მიკრობების მუშაობის შედეგია.

მიკრობები, რომლებიც ცოცხალ მცენარეზეა, ყოველთვის მიწყხარებული არიან. ისინი მხოლოდ მკვდარ მცენარეზე. იწყებ მუშაობას

ყველა სოფლის მეურნემ კარგად იცის, რომ თუ თივას სინესტე შეჰყვა, ის ჩახურდება, აშმორდება და თუ თივითონ ცეცხლი არ მოეკიდა აუცილებლივ გაფუჭდება.



სხვადასხვა ხაბის მიკრობები.

ამიტომ, თუ **მოთიბულ ბალახის შენახვა დიდი ხნით გვინდა, ის აუცილებლად კარგად უნდა გავახმოთ.**

ამგვარად თივის გახმობა საუკეთესო ზომაა ბალახზე მყოფ მიკრობების წინააღმდეგ, რომ ისინი არ ამუშავდნენ და თივა არ დაგვილპონ.

ბალახის გახმობით ჩვენ თივას სინესტეს ვაცლით და ხმელ ბალახზე მიკრობებს ცხოვრება უკვე აღარ შეუძლიანთ.

თუმცა ისეც ხდება, რომ, თუ თივა ცოტა ნესტიანი დავდგით დიდ ზვინად, ის ჯერ ჩახურდება და მერე თავისით აინთება.

თივის ასეთ გახურების ძირები გერ თვით ბალახია, რომელიც ისევე სუნთქავს, როგორც ადამიანი და თავის სუნთქვით ზვინს ათბობს შიგნით, ეს ათბობ ბალახზე მყოფ მიკრობების ამოძრავებას ხელს უწყობს, ამათი ამოძრავება კი უფრო ძეტს სითბოს იწვევს, იმდენად, რომ ზვინში ხელის შეყოფა შეუძლებელია.

ამის შემდეგ თივა ისე ხურდ ბა, რომ ცეცხლი თავისით ჩნდ ბა და ზვინი იწვის.

თივის ცეცხლისაგან გადასარჩენად, ზვინი მაშინათვე უნდა დაშალოთ და თივა ხელმეორედ გააშროთ.

მართალია, უწინ ადამიანი მიკრობებს არ იცნობდა, მაგრამ მან კარგად იცოდა და ეხლაც იცის მათი თვისებების გა ოყენება.

ქვეყანაზე, მრავლადაა ადამიანისათვის მაზარალებელი მიკრობები, მაგალითად სხვადასხვა სენის გამომწვევი მიკრობები, მაგრამ არიან ისეთი მიკრობებიც, რ ძლების მოქმედებას ადამიანი თავის სასარგებლოდ იყენებს, მაგალითად, ყვ ლის გასაკეთებლად, ღვინის, ძმრის, ლუდის დასაყენებლად და სხვა.

საჭიროა მხოლოდ ასეთ მიკრობების ბუნების ცოდნა.

მიკრობების ბუნების შესწავლის საქმე მეცნიერების ხელშია

მეცნიერების შემწეობით ჩვენ ვიცით, თუ რომელი მიკრობი, რა პირობებში ადამიანის სასარგებლოდ მუშაობს. მაგალითად, წნილის დამჟავ ბა მიკრობების შემწეობით ხდება.

წნილის დამჟავების გამომწვევ მიკრობებს არ უყვართ, მაგალითად, ბევრი ჰაერი და დიდი სიცხე.

ძმრის ძიკრობ ბს კი, პირიქით, შეტი ჰაერი და უფრო ნაკლები სითბო უყვართ.

აი ტომ არის, რომ ყურძნის წვენის ანუ ტკბილის დუღილისათვის საჭიროა განსაზღვრული სითბო, რადგან ტკბილი სიცივ ში არ დუღდება, ყველ ის და მაწვნის შესადედ ბლადაც საჭიროა განსაზღვრული სითბო.



ერბოს სიმჟაღის გამომწვევი ბაქტერიები, ძრიელ გადიდებულია.

თუ რძე საჭირო სითბოსი არ არის, ყველის და მაწვნის მიკრობები წესიერად არ ამუშავდებიან და არც ყველი და არც მაწონი არ შედედდება.

მიკროსკოპის შემწეობით ვიცით, რომ ყველა მიკრობი ერთნაირი ფორმისა ანუ სახისა როდია: ზოგი წვრილწვრილ ჩხირებს წააგავს, ზოგი რგვალია, ზოგი მორგვალო, ზოგი ბურღივით დაგრეხილი და სხვა.

ძიკრობი ჰაერში, იწაში და წყალშიც ყოველთვის ბლომად მოიპოვება, სწრაფად მრავლდება და ყოველთვის სხვადასხვა სენის შიზეზი ხდება.

ერთ წვეთ წყალში ის მილიონობითაა.

აგრ ნ. თხინვალელი.



ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲜᲐᲮᲛᲐᲠ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ.

გეოგრაფია — დედამიწის ზედა-პირის აწერილობა, გეოგრაფიული პირობები, ადგილმდებარეობა, პირობები ცხოვრებისა.

კრიზისი — გაჭირებული მდგომარეობა, რომელიც შეიძლება ავადაც და კარგადაც დამთავრდეს. პოლიტიკური კრიზისი—პოლიტიკური გაჭირებაა. ავადმყოფის მდგომარეობა, როცა ავადმყოფი ან გადარჩება ან მოკვდება.

მილიმეტრი — მეათასე ნაწილაკი მეტრისა.

მინერალური — ის რაც არ ეკუთვნის ცოცხალ არსებათა, არა ორგანიული ნივთიერება: ქვა, რკინა, სპილენძი, ტყვია და სხვა. მინერალური წყალი, რომელშიაც გახსნილია რომელიმე მინერალი: მაგალითად რკინის წყალი, რომელშიაც გახსნილია რკინა.

ნორმალური — წესიერი, ბუნებრივი. ჩვეულებრივი. ნორმალური პირობები—ჩვეულებრივი, წესიერი პირობები.

პლანტაცია — ნარგავი. მაგალითად: მანდარინისა, თამბაქოსი ან სხვა მცენარის პლანტაცია ანუ ნარგავი,

პრიმიტიული — პირველყოფილი, ძველი, მამა-პაპური, მარტივი, განუვითარებელი ჩამორჩენილი.

რაციონალური — გონივრული, ანგარიშიანი, მიზანშეწონილი.

რეაქცია — ერთის სხეულის ზეგავლენა მეორე სხეულზე. ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც წინსვლელობის წინააღმდეგია და უნდა წარსულის აღდგენა. რეაქციონერი ისეთ პირს ჰქვია, რომელიც ასეთ პარტიას ემხრობა.

რეომიური — სითბო-სიცივის საზომის ანუ ტერმომეტრის გამომგონი მეცნიერის გვარი. არის ტერმომეტრი, რომელიც დაყოფილია 80 ან 100 ნაწილად, როგორც. ვსთქვათ, არშინი დაყოფილია ვერშოკებზე და მეტრი სანტიმეტრებზე. ტერმომეტრი, რომელიც დაყოფილია 80 ნაწილად, რეომიურის გამოგონილია. თითო ამ ნაწილს ჰქვია მენაკი ანუ გრადუსი.

სეზონი — დრო, ხანა წელიწადს აქვს ოთხი სეზონი: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. არის გაზაფხულის სეზონი, ზაფხულის და სხვა.

ფიზიკური — ბუნებრივი. ფიზიკური ძალა—ბუნებრივი ძალა, ფიზიკური სხეული—ბუნებრივი სხეული.

ქრონიკული — ხანგრძლივი, გაჭიანურებული, მუდმივი. ქრონიკული ავადმყოფობა ხანგრძლივი, გაჭიანურებული მუდმივი ავადმყოფობა.

რედაქტორი-აგრონომი ნ. აღნიაშვილი. პასუხ. რედაქტორი გ. მუშიშვილი.

მთავლ. № 255. გამომცემლობა „ახალი სოფელი“ ტირაჟი 10.000.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა კამოს ქუჩა, № 68.

ს 984 ს
1928

ᲡᲝᲥᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ"

გამოდის 1928 წლის იანვარიდან აგრონომ **ნ. ᲐᲚᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემა გაზეთი **„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ"-ს** რედაქცია.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მეველნახეობაში — **ვ. ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**; მელვინეობაში — **კ. ᲑᲔᲠᲔᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ**; მესაქონლეობაში — **მ. ᲪᲘᲛᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ**; მებაღეობაში — **მ. ᲫᲐᲠᲪᲘᲕᲐᲫᲔ**; მეტყეობაში — **გ. ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ**; სუბტროპიკულ კულტურის დარგში — **ერ. ᲜᲐᲪᲐᲨᲘᲫᲔ**; მემინდვრეობა-ძებოსტნეობაში — **ნ. ᲐᲚᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**; ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში — **ი. ᲫᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘ**; მეაბრეშუმეობაში — **ვლ. ᲜᲘᲪᲐᲠᲐᲫᲔ**; მეფუტკრეობაში — **ვ. ᲚᲝᲚᲓᲐᲫᲔ**; ვეტერიანარიაში საქონლის ექიმი — **მ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი **ივ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ.**

მეცნიერულ-პოპულიარულ განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები.

გარდა ჩამოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ **აგრონომები:** თ. მეგრელიშვილი, გ. აბესაძე, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, ქრ. ჯ-ფარიძე, (ტფილისი) ე. ეფრემიძე, (სიღნაღი), ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), ნ. კვინიხუაშვილი (გორი), არ. კობახიძე (სიღნაღი), და ვ შანიძე (გურია). **სპეციალისტები:** აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ უნაფკოშვილი.

ჟურნალში თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.

ჟურნალი გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

ᲐᲛᲮ. ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ! შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის მეტად სასარგებლო ჟურნალი **„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ".**

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

წლიურად — 1 მ. 50 კ., ექვსი თვით — 80 კ., სამი თვით — 40 კ.
ცალკე ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ყველა ქოხ-სამკითხველოებში და რედაქციაში შემდეგი მისამართით:

ტფილისი, ვოლადარსკის ქუჩა № 11. ჟურნალ „ახალი სოფლის" რედაქცი ს.